# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 ნოემბერი, 2015 წელი.

№209 (7854)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

## ილჰამ ალიევი საქართველოში

გუშინ საქართველოს სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვია.

აზერბაიჯანის დელეგაციას აეროპორტში საქართველოს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები დახვდნენ. ილჰამ ალიევმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტი თავის ქართველ კოლეგას, გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდება. ილჰამ ალიევი მარნეულშიც ჩავა, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან გამართავს შეხვედრას.

ილჰამ ალიევის სტუმრობის შესახებ ბაქოში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის 10 ოქტომბრის სამუშაო ვიზიტისას გახდა ცნობილი.




## I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

მიმდინარე წლის 11-13 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით თბილისში გაიმართება **I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი.**

კონგრესის მონაწილეთა რეგისტრაცია ჩატარდება 10 ნოემბერს (12.00-17.00 სთ) და 11 ნოემბერს (09.00-10.00 სთ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (რუსთაველის გამზ. № 52).

კონგრესი გაიხსნება 11 ნოემბერს 10.00 სთ-ზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, იქვე გაიმართება პლენარული სხდომა და სექციური სხდომები.

12 ნოემბერს კონგრესი მუშაობას განაგრძობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ჭავჭავაძის პრ. №1).

13 ნოემბერს გაიმართება კონგრესის შემაჯამებელი სხდომა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

**საორგანიზაციო კომიტეტი**



③ „ვიძლევი გარანტიას, რომ ვინც დასაკავებელია, ყველას დავაკავებ"...

ვალერი ხაბურძანია თანხმობას აცხადებს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე

## თუმც მოსამართლე ⑤ ყველაფერზე კვერს უკრავს...



**◉ დღის ამოჯრაზურიდან**

— დე, ხელი მისკენ იმან იშვიროს, ვინც უკეთესად ივანიშვილობს.



გუგული მაღრაძე:

⑯ შეიძლება, პენსია კიდევ გაიზარდოს!

ანზორ საკანდელიძე:

დღეს ბიზნესი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ამდიდრებს მდიდრებს და აღარიბებს ღარიბებს ⑥



④ თაღლითური სქემით მთელი ვერეს ხეობა გასხვისდა?

ვერაფერს მიზამთ, რადგან პრემიერი მფარველობსო...

⑰ ქართული ეროვნული ბალეტის 70 წელი

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# ჩვენ ერთი ბედი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ

**თქვენ ნამდვილ სულიერ ლიდერს განასახიერებთ, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიყავს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გზით ძალადობის წინააღმდეგ, — ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოში ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარემ იული ედელშტეინმა პატრიარქთან საუბრისას განაცხადა.**

საპატრიარქოში ილია მეორემ ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის უძველეს მეგობრულ ურთიერთობაზე, კულტურასა და ისტორიაზე ისაუბრეს.



**„საჭიროა, ითქვას, რომ თქვენი კულტურა, ჩვენი ისტორია ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ბოლო წლებში ებრაელები დაბრუნდნენ წმინდა მიწაზე და საქართველომ ხელი შეუწყო მათ, წასულიყვნენ. ებრაული კულტურა ჩვენთვის ახლობელია. მე მივესალმები თქვენ თანმხლებ პირებს და ვისურვებ, რომ მათ უკეთ გაიცნონ საქართველო. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი ვიზიტი საქართველოში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნებს შორის კიდევ უფრო დაახლოებისათვის. ჩვენ ერთი ბედი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ“,** — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნეს თბილი ურთიერთობები საქართველოსთან.

ქნესეთის თავმჯდომარემ საუბრისას აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ორივე მხარისთვის მომგებიანია და ასეთი ურთიერთობებისაგან არც ერთი მხარე წაგებული არ დარჩება. მან ისაუბრა ეკონომიკურ, კულტურულ ურთიერთობებზე და გამოცდილების გაზიარების შესახებ.

**„მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი სახელი ბევრისთვის არის ცნობილი საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ხანდახან თანამედროვე მსოფლიოში საუბრობენ სულიერი ლიდერების ნაკლებობაზე. თქვენ ნამდვილად სულიერ ლიდერს განასახიერებთ, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიყავს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გზით ძალადობის წინააღმდეგ. მინდა, აღვნიშნო, რომ ანტისემიტიზმი საქართველოში პრაქტიკულად არ იციან. ამას აქვს მიზეზები. ეს არის ლიდერების, მათ შორის სულიერი ლიდერების სწორი მიდგომის შედეგი. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალშიც საქართველოში შენარჩუნდება ასეთი დამოკიდებულება ებრაული საზოგადოებისა და რელიგიის მიმართ“,** — განაცხადა იული ედელშტეინმა.

მისივე თქმით, ებრაელებს მოუწიათ ისრაელში დაბრუნება იმიტომ, რომ იდევნებოდნენ. საქართველოს შემთხვევაში კი სხვაგვარად იყო. ისინი საქართველოდან წავიდნენ და დარჩნენ საქართველოს პატრიოტებად, წავიდნენ იმის გამო, რომ სურდათ საკუთარ სამშობლოში დაბრუნება. მისივე განცხადებით, საქართველოდან წასული ებრაული საზოგადოება არის მეგობრობის დიდი ხიდი ორ ქვეყანას შორის. მან მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რომ ასეთი სულიერი ლიდერია, რომლისგანაც მაგალითის აღება სურთ.

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ქართველი ხალხის სამი უდიდესი პრობლემა:

1. მართლა ჩასვრილია თუ არა ნოდარ მელაძე?

2. ჯულიეტოვნაა ზემოდან თუ ნიკა გვარამია?

3. ონლაინ სესხის გამცემი რაიმე ახალი კომპანია ხომ არ გამოჩენილა?

● რომეო საჯაია და დათა კაპულეტი.

● გივი თარგამაძეს სანამ ზედა-ქვედა ყბებზე Caps Lock-ს არ მოხსნით, ტყუილა იბარებთ დაკითხვაზე.

● რამდენიმე დღის წინათ კი გავაკრიტიკე, მაგრამ ახლა უნდა მადლობა ვუთხრა. პოლიტიკოსისგან ბოდიშის მოხდით ქვეყანა განებივრებული არ არის და ამიტომ ძალიან მომეწონა, რომ მერმა იგრძნო პასუხისმგებლობა და მოუბოდიშა ამომრჩეველს. შეცდომების აღიარება სისუსტე არაა, ეს რეალობის




ხედვაა. უშეცდომო კი არავინაა, მთავარია, აღიარო და გამოასწორო.

● შეშინებულა ოცნება: ამათი მოწყობილი რევოლუცია-გადატრიალება... რევოლუციას ხალხი უნდა ხალხიიი!! და ბევრი, ბევრი მხარდამჭერი!

● სახალხო დამცველი ინფორმაციის შეზღუდვას და საიტების ბლოკირებას ითხოვს. გადასარევი ამბავია!

● საჯაიას ჯერ მარტო იმიტომ დავაპატიმრებდი, რომ რომეოს სახელს არცხვენს.

ეს გაქონილი.

სად შენ, სად ლეონარდ უაითინგი.

● პოლიტიკური ბუღლამა:

ავიღოთ 555 გრამი ქინძმოძრაობა.

დავუმატოთ 666 გრამი ცხიმიანი რესპუბლიკელების არტალა, ჩავახეხოთ 500 გრამი თავისუფალი დემოკრატები.

შემდგომ დავუმატოთ 100 გრამი ლეიბორისტური ძმარი.

აგრეთვე ჩავყაროთ ამძაღებული წვრილად დაჭრილი ქინძმოძრაობის სატელიტი პარტიების წიგნაკები ბოლოს ამ ყველაფერს დავუმატოთ დამარილებული მარგველა და ვურიოთ 666 წუთი. გააციეთ და მიიღეთ არჩევნების დროს. უხდება ბუასილს. უი, დამავიწყდა, მოურიეთ ეს ყველაფერი ცოცხით!!!

P. S. მოდით, ერთად ვიფიქროთ ამ კერძის ერთად მომზადებაზე.

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძე**

# პრეზიდენტი ქნესეთის დელეგაციას შეხვდა



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქნესეთის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთის თავმჯდომარე იული ედელშტეინი ხელმძღვანელობს.**

შეხვედრისას ორმხრივი ურთიერთობების განვითარების და გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და სირიაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს.

ქნესეთის პარლამენტის თავმჯდომარე და დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებით და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარებით. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა წარმატებული იქნება მომავალშიც, სახელმწიფოების მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

# თქვენი მიღწევები აღტაცებას იწვევს

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრებს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა.**

„დიდი მადლობა მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს სახელის გატანისათვის. თქვენი სახელი და თქვენი მიღწევები ჩვენს საზოგადოებაში აღტაცებას იწვევს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრისას.

გიორგი მარგველაშვილმა ძიუდოს ნაკრების წევრებს სიმბოლური საჩუქრები — სახელობითი ინიციალებით გაფორმებული, პერანგის ვერცხლის სამაგრები გადასცა.

# პრემიერის ბალტიისპირული ვიზიტი გრძელდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლიტვის პრემიერ-მინისტრს ალგირდას ბუტკევიჩიუსს შეხვდა.**

**ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების შეხვედრის მთავარი თემა საქართველო-ლიტვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები იყო.**

ირაკლი ღარიბაშვილს ალგირდას ბუტკევიჩიუსმა ლიტვის მთავრობის სასახლეში უმასპინძლა.

მხარეებმა ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.



ხაზგასმით აღინიშნა საქართველო-ლიტვას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდა, ასევე სამაგალითო თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას და რეგიონში არსებულ გამოწვევებს, ასევე, აღინიშნა საქართველოს წვლილი ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლიტველ კოლეგას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

### ისტორიული სხდომა

**საქართველოსა და ლიტვას 20 წელზე მეტია, დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებთ და ამ პერიოდში ჩვენ თანამშრომლობის მტკიცე საფუძველი შევქმენით, დღევანდელი შეხვედრა ისტორიული მოვლენაა, — ამ სიტყვებით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველო-ლიტვის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის პირველი სხდომა ვილნიუსში.**

„საქართველო მზად არის, სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი ჩვენ შორის ენერგორესურსების, ასევე ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის საქმეში. ამ სფეროებში ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლა. სასიხარულოა, რომ 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ჩვენი ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა 54 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს უდიდესი პოტენციალი თანამშრომლობისა და ურთიერთსასარგებლო საქმიანობისთვის. ჩვენს ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველო მზად არის, ძალ-ღონე არ დაიშუროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად, რომლებიც ადგილს დაიმკვიდრებენ საერთაშორისო არენაზე და ამ გზით გახდებიან საქართველოსა და ლიტვის მეგობრობის დესპანები“, — განაცხადა პრემიერმა.

საქართველო-ლიტვის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის პირველი შეხვედრის გახსნაში ირაკლი ღარიბაშვილმა ლიტველ კოლეგა ალგირდას ბუტკევიჩიუსთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

## ◎ უცხოელთა თვალით

# VICE NEWS — რუსები მოდიან: საქართველოს მცოცავი ოკუპაცია

**„რუსები მოდიან: საქართველოს მცოცავი ოკუპაცია“ — დოკუმენტური ფილმი ამ სათაურით ამერიკულმა ტელეკომპანია Vice News-მა მოამზადა.**

**ჟურნალისტი სიმონ ოსტროვსკი ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში იმყოფებოდა, სადაც მავთულხლართებს მიღმა დარჩენილ მოსახლეობას ესაუბრა.**

ავტორი ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთი ერთ-ერთია იმ ორი რეგიონიდან, რომელიც რუსეთმა 2008 წელს ომში გახვია, თუმცა ახლა მოსკოვი უფრო შორს წავიდა — საზღვრის აღმნიშვნელი ახალი ნიშნები განათავსა და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოაქცია აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში გაყვანილი BP-ის მილსადენი.

**„ახლა რუსეთს აქვს შესაძლებლობა, BP-ის ოპერაციების საბოტაჟი განახორციელოს, როცა მოუნდება“,** — აცხადებს ოსტროვსკი და დასძენს, რომ რუსები აკავებენ ყველას, ვინც ახალ დე ფაქტო საზღვარს გადაკვეთს.

**„მთელი მსოფლიო თანხმდება, რომ მიწა ამ საზღვრის ორივე მხარეს საქართველოს ეკუთვნის. მარტო რუსეთი ამბობს, რომ ამ მავთულხლართებს მიღმა არსებული მიწა დამოუკიდებელი ქვეყნის — სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაა“,** — ამბობს ავტორი.

ფილმს ლაიტმოტივად გასდევს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ქართველი მწყემსების დაკავება და გათავისუფლება. მასში ასევე ასახულია ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნა.

**„ნატოს ლიდერსაც არ სურს რუსეთის გაბრაზება“,** — ამბობს სიმონ ოსტროვსკი. იგი ხაზს უსვამს, რომ ყველა ქართველი ხელისუფალი, ვისაც ესაუბრა, რუსეთის პროვოცირების საფრთხეზე საუბრობს, თუმცა მთავრობის საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს ნაციონალური მოძრაობა.

ჟურნალისტი ესაუბრა ევროკავშირის მისიის წარმომადგენელს საქართველოში, ელჩ კიასტუტის იანკაუსკასს, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს, საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, ნაციონალური მოძრაობის საგარეო ურთიერთობათა მდივან გიგა ბოკერიას, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს.



# „ვიძლევი გარანტიას, რომ ვინც დასაკავებელია, ყველას დავაკავებ“...

## ვალერი ხაბურძანია თანხმობას აცხადებს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე

**„ეს ჩანაწერები იმ ძალების მიერ არის გაკეთებული, რომლებიც უკრაინაში ებრძვიან სააკაშვილს და ამაში ჩართეს ქართული სპეცსამსახურები. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო ნორმათა დარღვევით არის გაკეთებული ეს ჩანაწერები, ჩვენი სამართალდამცავები ვერ გაასაჯაროვებდნენ და გასაჯაროვდა უკრაინული საიტების მეშვეობით“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომლის განცხადებით, არ არის გამორიცხული სააკაშვილის გადაღებული ბევრი სელფი ვნახოთ ეროტიკულ-ინტიმურ ფორმებში.**

**for.ge ვალერი ხაბურძანიას ესაუბრა.**

**— უკრაინული საიტი uarevo.in.ua-ი ყოველდღიურად აქვეყნებს მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის საუბრის აუდიო ჩანაწერებს. ვინ შეიძლება უსმენდეს სააკაშვილს და ნაციონალებს, ვის ინტერესში შედის ამ საუბრების გავრცელება?**

— ჩემი ვარაუდით სააკაშვილი თავისივე ვირუსის მსხვერპლი გახდა. თავის დროზე მას ამერიკელებმა მისცეს ეს ვირუსი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მისი გარემოცვიდან ვინმემ გაყიდა და ხელში ჩაუვარდა კოლომოისკის, მათ მოახერხეს სააკაშვილი კომპიუტერში, უფრო, ალბათ, სმატფონში ამ ვირუსის შეყვანა, ჰაკერულად მისი გახსნა. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, სააკაშვილის გადაღებული ბევრი სელფი ვნახოთ, ალბათ, უფრო ეროტიკულ-ინტიმურ ფორმებში. თუმცა, რამდენად ინტიმურია სააკაშვილი, ამას ვერ მოგახსენებთ.

ეს ჩანაწერები იმ ძალების მიერ არის გაკეთებული, რომლებიც უკრაინაში ებრძვიან სააკაშვილს და ამაში ჩართეს ქართული სპეცსამსახურები. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო ნორმათა დარღვევით არის გაკეთებული ეს ჩანაწერები, ჩვენი სამართალდამცავები ვერ გაასაჯაროვებდნენ და გასაჯაროვდა უკრაინული საიტების მეშვეობით. თუმცა, რადგან ასეთი ჩანაწერები არსებობს და მისი ავთენტურობა დაადასტურეს, რა თქმა უნდა, უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. დანარჩენი უკვე გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, რამდენად რეალურია ამ საუბრის შინაარსი.

**— რადგან ეს ჩანაწერები საქართველოს სამართალდამცავებს კანონით დადგენილი წესით არ მოუპოვებიათ, ეს ნიშნავს, რომ მისი მტკიცებულებად გამოყენება არ შეიძლება?**

— არა, არ ნიშნავს იმას, რომ მისი მტკიცებულებად გამოყენება არ შეიძლება. ბევრი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ამ ტიპის საუბრების მტკიცებულებად გამოყენება მოხდეს დადგენილი წესით. მაგალითისთვის გეტყვით, როდესაც მე ვიყავი უშიშროების მინისტრი, საქართველოს კონსტიტუციაში ეწერა, თუ მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით, ის მტკიცებულებად აღარ ითვლებაო. როგორც კი მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება და უშიშროება ჩააბარეს ადეიშვილს, მე ვუთხარი, რომ კონსტიტუციაში არსებული ეს ჩანაწერი ხელს გვიშლიდა. პირველივე, რაც გააკეთეს იყო ის, რომ კონსტიტუციაში არსებული ეს მუხლი გააუქმეს. ახლა კეთილი ინებონ და თავიანთი მიღებული კანონებით აგონ პასუხი.

**— ეს სატელეფონო საუბრები შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულს? დაწყებულია გამოძიება, მაგრამ გამოძიების დეტალები არ ხმაურდება, რადგან საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს...**

— სიმართლე გითხრათ, ვერაფერს ვხედავ გრიფის დასადებს. რაც შეეხება მოპოვების ტაქტიკას, ეს ნაწილი შეიძლება გრიფით „საიდუმლო“ იყო. როგორც გითხარით, ამ საუბრების მტკიცებულებად გამოყენება შესაძლებელია თუკი პროკურატურა ჩაატარებს დამატებით საგამოძიებო მოქმედებას. უნდა ამოვიღოთ ამ პირების სატელეფონო საუბრების ამონაწერი, რამდენად ემთხვევა ეს საუბრები დროის თვალსაზრისით, ამის შემდეგ უნდა მოხდეს ხმის ავთენტურობა.

მაგრამ რად გვინდა ამდენი წვალება, როდესაც ბოკერიამ, ხოლო გვარამიამ სრულად აღიარა, რომ ეს საუბრები არის ავთენტური. ვფიქრობ, გვარამიას იმედი აქვს, რომ მის საუბრებში კრიმინალის ელემენტები არ ჩანს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ინტელექტუალური მხარდაჭერის მუხლი ჯერ კიდევ არსებობს, რითაც თავის დროზე დასაჯეს ირაკლი ბათიაშვილი. ვფიქრობ, ეს მუხლი უნდა გამოიყენონ და პასუხისგებაში მისცენ გიგა ბოკერია და ნიკა გვარამია.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ სააკაშვილის და ზოგადად, ნაციონალების გეგმაში იყო პროცესების რევოლუციური გზით განვითარება?**

— ერთი, რომ თვითონ საუბრობს, მეორე — მის მიერ უკვე განხორციელებულია რევოლუცია, მესამე — მათი შინაგანი ბუნება და სამართლებრივ-პოლიტიკური მრწამსი. სააკაშვილი თავის ბუნებით არის მნგრეველი რევოლუციონერი. მინდა შეგახსენოთ, რომ მას ზედმეტი სახელი „რუსთავი-2“-ის მაშინდელმა ხელმძღვანელმაეროსი კიწმარიშვილმა შეარქვა და შემდეგ, ყველა მას არმაგედონს ეძახდა. შიდა საუბარში მიშას მიმართ იყენებდნენ ტერმინს — არმაგედონი, მაგრამ სანამ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი გახდებოდა, მას შიდა საუბრებში გიჟს ეძახდნენ.

**— თქვენ საიდან იცით, რას ეძახდნენ სააკაშვილს შიდა საუბრებში მისი გუნდის წევრები?**

— ეს ვიცი იმ ურთიერთობიდან, რა ურთიერთობაც მქონდა მაშინ ეროსისთან. ეს ტერმინი ჩემთან უხსენებია ზურაბ ჟვანიას, ნინო ბურჯანაძეს, წვრილმან ნაციონალებს, რომლებიც მაშინ დადიოდნენ ჩემთან.

**— ბატონო ვალერი, რომ დავაზუსტოთ, თქვენ თვლით, რომ მათ გეგმაში შესაძლოა შედიოდეს რევოლუციური სცენარი?**

— მათთვის დღეს ყველაზე მთავარია რევოლუციური სცენარი. დანარჩენი სცენარი ეს არის პროგრამა მინიმუმი. ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს რევოლუციის პრევენცია.

**— როგორ? გამოძიების დაწყება არის პრევენცია?**

— რევოლუციის პრევენცია ხდება რამდენიმე საშუალებით. პირველი — მოკლევადიან პერიოდში უნდა გაუმჯობესდეს ეკონომიკური ცხოვრების მონაცემები და პარამეტრები. მეორე — უნდა მოხდეს რევოლუციური საქმიანობის პრევენცია და მესამე — მოხდეს იმ ხალხის დაკავება, რომლებიც ამ რევოლუციურ გეგმაში დანაშაულებრივი გზით არიან ჩართული. ანუ, თუ მათ მოქმედებებში და განცხადებებში იკვეთება კონკრეტული დანაშაული, ნუ მოერიდებიან ნურავითარ უცხოელებს და „სახალხო პარტიის“ განცხადებებს და ა.შ. გააკეთონ ის, რასაც აკეთებდა სააკაშვილი. სააკაშვილსაც უკრძალავდნენ ვიღაც-ვიღაცების დაკავებას, მაგრამ ფაქტის წინაშე აყენებდა ამ ხალხს. კაცმა ომი დაიწყო და ისე დააყენა ამერიკელები ფაქტის წინაშე. თუ არ დააკავებს ეს ხელისუფლება, მაშინ მოვა ახალი ხელისუფლება, რომელიც დააკავებს ამ ხელისუფლებას.

ამას ვამბობ როგორც იურისტი. როგორც გავიგე, წულუკიანი არჩევს გენერალურ პროკურორს, მე ვაცხადებ თანხმობას ამ თანამდებობაზე. რითი ვარ ცუდი კანდიდატი, რა უნდა დამიწუნონ? თუ პოლიტიკის გარეშე დააყენებენ მთლიანად პროკურატურას და ამის სამართლებრივ საფუძველს შექმნიან, მე უარს ვაცხადებ ჩემს საგარეო-პოლიტიკურ შეხედულებებზე და ჩემი ორიენტირი იქნება საქართველოს კონსტიტუცია და კანონი.

**— ამბობთ, რომ გინდა გახდეთ ქვეყნის მთავარი პროკურორი, აი, ამ ჩანაწერებიდან გამომდინარე, რას იზამდით, დააკავებდით ამ ადამიანებს?**

— მე ვიძლევი გარანტიას, რომ აი, ამ ხალხს, ვინც დასაკავებელია, ყველას დავაკავებ. პირველ რიგში, სასწრაფოდ, დაუსწრებლად ბრალს წავუყენებდი მიხეილ სააკაშვილს, ასევე ბრალს წავუყენებდი ბატონ ბოკერიას და გვრამიას. კარგად არ მომისმენია გივი თარგამაძისა და ნუგზარ წიკლაურის საუბრები, თუმცა თარგამაძეს ბევრი რამის გამო ეკუთვნის ბრალის წაყენება. აი, ასე მოვიქცეოდი.

**თამთა ქარჩავა**

## ◎ ალიან-ჩალიანი

### არც ერთ ქინძს, ქინძების პარტიას არ ექნება იმის საშუალება, რომ სახელმწიფოში გადატრიალება მოაწყოს



**ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა. რაც შეეხება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ჯონ კირბის განცხადებას „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლება მიესალმება იმ განცხადებებს, რომლებიც უცხოელი პარტნიორის მხრიდან კეთდება.**

**„აბსოლუტურად ვეთანხმებით ყველა იმ განცხადებას, არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს მიმდინარე სასამართლო პროცესებში, არც ნაციონალურ მოძრაობას, არც გარკვეულ დაჯგუფებებს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავმიჯნოთ პოლიტიკა და სასამართლო პროცესები, ეს არის ორ სუბიექტს შორის დავა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება“, — განაცხადა კალაძემ.**

**რაც შეეხება სასამართლოს, როგორც ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, ის უნდა იყოს დამოუკიდებელი და ხელისუფლება ზუსტად ასეთ სახელმწიფოს აშენებს, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, სასამართლოს დამოუკიდებლობა არის პრინციპულად მნიშვნელოვანი. რაც შეეხება თვითონ „რუსთავი-2“-ს, ჟურნალისტებს, კალაძის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლება.**

**„საქართველო მათი სტრატეგიული, პარტნიორი, მეგობარი ქვეყანაა და ეს პროცესები რაც მიდის, თუნდაც „რუსთავი-2“-თან მიმართებაში, თქვენ იცით, რომ დიდი ინტერესია ამ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. გარკვეულ დაჯგუფებებს და პირდაპირ შეიძლება ითქვას, ნაციონალურ მოძრაობას აქვს სურვილი, ეს პროცესი სათავისოდ გამოიყენოს, სათავისოდ გამოიყენოს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები. ეს მათ ნამდვილად არ გამოუვათ. ჩვენ მოვისმინეთ ის ფარული ჩანაწერები, რომლებიც უკრაინაში იქნა გავრცელებული და არც ერთ ქინძს, ქინძების პარტიას არ ექება იმის საშუალება, რომ სახელმწიფოში გადატრიალებები მოაწყოს. არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ თქვენ, ჟურნალისტები ბრმა იარაღად იყოთ გამოყენებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.**

### ვანში „თავისუფალი დემოკრატების“ პარტია აღარ არსებობს

**ვანში „თავისუფალი დემოკრატების“ პარტია აღარ არსებობს. პარტია რამდენიმე დღის წინ ყველა წევრმა დატოვა, — აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ ქუთაისში, „ქართული ოცნების“ ოფისში, ვანის საკრებულოს „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილმა წევრმა რომან თვალაბეიშვილმა ბრიფინგი გამართა.**

**მისი განმარტებით, ისინი თავისუფალი დემოკრატების პოლიტიკურ გზას ემიჯნებიან, რომელიც ნაციონალურ მოძრაობის ინტერესებს ემსახურება. რომან თვალაბეიშვილის განცხადებით, საკრებულოს წევრები, რომლებიც „თავისუფალ დემოკრატებს“ წარმოადგენდნენ, ჯერჯერობით დამოუკიდებელ დეპუტატებად რჩებიან.**

### ევროპელებო, ჩვენს საქმეებში ნუ ერევით!



**„კეთდებოდა განცხადებები, რომ ჩვენ ევროპაში ინტეგრაცია გვჭირდება. მინდა გითხრათ — არა, ინტეგრაციის არანაირი საჭიროება არ არსებობს, განსაკუთრებით — დისკრიმინაციისა და ისლამოფობიის პერიოდში“, — განაცხადა აზერბაიჯანის ლიდერმა.**

**როგორც „ბიბისი“ იტყობინება, ილჰამ ალიევმა ასევე გააფრთხილა ევროპა, რომ ის აზერბაიჯანის საქმეებში არ უნდა ერეოდეს.**

**„ჩვენ არასდროს არავინ არ გვეხმარებოდა. ყველაფერს საკუთარი ძალისხმევით მივაღწიეთ. დახმარებას არავისგან არ ველოდებით და არც გვჭირდება. ჩვენს საქმეებში ნუ ერევით“, — განაცხადა ალიევმა, რომლის თქმითაც, აზერბაიჯანი ძლიერი, ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული სახელმწიფოა.**

### როგორც რუსები იტყვიან „რაზმეჩტალსია“



**ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მზად არის, უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავოს. ამის შესახებ სააკაშვილმა გამოცემა „პოლიტიკო“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ვისურვებდი დიდ ცვლილებებსა და რეფორმებში მონაწილეობას. ამისთვის მზად ვარ“, — განაცხადა სააკაშვილმა. მისი მოსაზრებით, ძლიერი და სტაბილური უკრაინა შეძლებს რუსეთის ექსპანსიის შეჩერებას.**

**„თუ უკრაინა რუსეთს არ შეაჩერებს, ჩემი მოსაზრებით, რუსეთი ადვილად წაშლის რუკიდან საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ძლიერი უკრაინა რუსეთისთვის უდიდესი გამოცდაა“, — განაცხადა სააკაშვილმა. ოდესის გუბერნატორმა ასევე, უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი „ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის“ შექმნაში დაადანაშაულა, რომელიც გარკვეულ „ბიზნეს-ინტერესებს“ ემსახურება. ჟურნალისტის კითხვაზე, აპირებს თუ არა საქართველოში, პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების მიზნით დაბრუნებას, სააკაშვილმა განაცხადა: „საქართველო ჩემი საპენსიო გეგმაა“.**

**ინტერპრესი**



# თაღლითური სქემით მთელი ვერეს ხეობა გასხვისდა?

## ვერაფერს მიზამთ, ღარიბაშვილი მფარველობსო...

**13 ივნისის სტიქიამ უბედურებასთან ერთად, სხვა ბევრი თავსატეხი გაუჩინა დაზარალებულებს, მაგრამ წყნეთის ხეობის მოსახლეები კი განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად ათამდე ოჯახი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დარჩა, იმ მიზეზით, რომ მათი საცხოვრებელი მათსავე სახელზე გაფორმებული არ იყო. რეალური მესაკუთრე კი, როგორც ამტკიცებენ, თაღლითი აღმოჩნდა. ამის შესახებ სააგენტო „მარშალპრესში" დაზარალებულთა ინტერესების დამცველმა თამუნა ქუთათელაძემ ისაუბრა.**

„10 ოჯახი პრაქტიკულად ღია ცის ქვეშ დარჩა და მოსალოდნელიც კი არ არის, რომ ისინი კომპენსაციას მიიღებენ. მე დახმარებისთვის მომმართეს ციური ბექაურმა და გიორგი გელაშვილმა. იმ დღესვე ერთობლივი განცხადებით მივმართეთ ვაკე-საბურთალოს პროკურატურას, რომელმაც სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საჯარო რეესტრიდან მოძიებული ინფორმაცია კი იმის საფუძველს მაძლევს, ვამტკიცო, რომ საქმე თაღლითობასთან გვაქვს!", — ამბობს ადვოკატი.

წყნეთის ხევის 4500 კვ.მ. 2012 წელს საკუთრებაში გადაუფორმებია ადვოკატ ბელა გუბელაძეს. ნოტარიუს ლელა ონიანის დამოწმებით გაყალბებული სამემკვიდრეო მოწმობით მიწის საკუთრებაში გადაფორმება მოახერხა. თითქოს 1965 წლის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში ჩანს, რომ ბელა გუბელაძის მამინაცვლის ბაბუის იყო ეს მიწა. 1981 წელს, როცა ახალი ტექინვენტარიზაცია მოხდა, ჩანაწერით ვითომ იმ ბაბუის მემკვიდრე იყო ბელას მამინაცვალი. თუმცა, იქ მაცხოვრებლები ამბობენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ პიროვნებას მხოლოდ მიზერული მიწის ნაკვეთი გააჩნდა (ისიც ახალი გზის გაყვანის დროს 2009-2010 წლებში ბელა გუბელაძემ კომპენსაციის სანაცვლოდ დათმო და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა). ვინაიდან მამინაცვლის მემკვიდრე იყო ბელა გუბელაძის დედა, ხოლო დედის მემკვიდრე — ქალიშვილი, მთელი 4500 კვ.მ. ამ ქალბატონის სახელზე გაფორმდა.

ბელა გუბელაძემ მიწა მალევე გაასხვისა ქეთევან ჯავახიშვილზე, ამ უკანასკნელმა კი ნაწილ-ნაწილ, უკვე აშენებული სახლების და შემოღობილი ეზოების მიხედვით, გაყიდა. ისინი დღეს უკვე კანონიერ მფლობელად გვევლინებიან და კომპენსაციასაც ითხოვენ. იმის მიუხედავად, რომ ეს ადამიანები არსად არასდროს ამ ტერიტორიაზე არ გამოჩენილან და არც პრეტენზია განუცხადებიათ ოდესმე ამ მიწებზე. როგორც დაზარალებული **ციური ბექაური** აცხადებს, ის ამ ხეობაში 1960 წლიდან ცხოვრობს. **„აქ ცხოვრობდნენ ჩვენი მშობლები, ჩემი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. მე ხელთ მაქვს ჩაწერის წიგნაკი, გადასახადების ქვითრები, ვიხდიდი შენობის და მიწის იჯარას, მაგრამ გაფორმებული არ გვქონდა უსახსრობის გამო...**

**2012 წელს გავიგე, რომ ჩემს ეზო-კარს სხვა მესაკუთრე ჰყავდა. დავიწყე ბრძოლა, მაგრამ უშედეგოდ. ნათელა გორდელაძე დამემუქრა, ვერაფერს მიზამ, რადგან მე პრემიერი მფარველობსო... ამას ვერ დავიჯერებ, მაგრამ ეს ქალბატონი დადის და პრემიერის სახელით გვემუქრება",** — ამბობს ბექაური.

დაზარალებული გურამ ოქროპირიძეც ამტკიცებს, რომ სახლი მისმა მშობლებმა 50-იან წლებში ააშენეს... საგადასახადო ქვითრები მუდმივად მის სახელზე მოდიოდა და ეჭვიც არ გასჩენია, ვიდრე სტიქია არ მოხდა...

**„მერიამ იცის რა ფაქტობრივი მდგომარეობა, კომპენსაციას არც ერთ მხარეს არ აძლევს, საქმის გარკვევას ელოდებიან, თუმცა „რეალური" მეპატრონეები დაჟინებით მოითხოვენ კომპენსაციას. გელაშვილების ოჯახს კი, რომელთა სახლიც გადარჩა, გასახლებით ემუქრებიან",** — აცხადებს ადვოკატი.

მას საეჭვოდ მიაჩნია ისიც, რომ ყველა „მესაკუთრეს", რომელმაც ჯერ იყიდა, მერე გაასხვისა ეს მიწები, ერთი და იგივე ადვოკატები ეხმარებოდნენ: ნათელა გოდერიძე და მზევინარ კოსტავა. ბექაურები, გელაშვილები, ოქროპირიძეები, აგარიანები და სხვები თავს სასტუმრო „444"-ს აფარებენ. თუმცა, მიწის იურიდიული მესაკუთრეები ამტკიცებენ, რომ ესენი წყნეთის ხეობის მაცხოვრებლები კი არა, მდგმურები არიან. გუბელაძის ეს სახლები წინაპარმა ააშენა 50-იან წლებში და აქ მდგმურებს აცხოვრებდაო. „მოწმეები ადასტურებენ, რომ სახლები მართლაც 50-იან წლებში აშენდა, მაგრამ ის იყო სახელმწიფო საკუთრება და არავის სამკვიდრო ქონებას არ წარმოადგენდა. თუკი მართლზომიერი მფლობელი იყო ვინმე, ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოჩენილიყო ამ ხალხთან და ეთქვა, ეს ჩემი საკუთრებაა, თქვენ აქ რატომ ცხოვრობთო?!" — ამბობს თამუნა ქუთათელაძე.

საქმეში პროკურატურაა ჩართული, რომელმაც უნდა დაადგინოს, ვინ არიან ნამდვილი მფლობელები. მერია მონდომებულია, აუნაზღაუროს ამ ხალხს თანხები, მაგრამ ვინაიდან მომჩივანები არსად არ ირიცხებიან, იძულებულები არიან, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დატოვონ. ამ ეტაპზე დაზარალებულებმა აბსოლუტურად ყველაფერი დაკარგეს! თუ დამტკიცდა, რომ თაღლითურმა სქემამ იმუშავა, თან ისე კანონიერად, რომ მოდავეებს მხოლოდ ფარატინა ფურცლები შერჩათ ხელში, ვის ვის და ამ „კანონიერ" მეპატრონეებს სტიქიამ მართლაც რომ სულზე მოუსწრო...

**თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია.**

**თეა მოსია**

## ალიან-ჩალიანი

### ბაღდათში სოციალური დახმარება არასამართლიანად ნაწილდება

**თბილისის** ადამიანის უფლებათა სახლმა ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების არასამართლიანად გაცემის ფაქტებთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს ზაზა სოფრომაძეს მიმართა.

ორგანიზაციის ცნობით, მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის უფლებადამცველების მობილური ჯგუფი იმყოფებოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სადაც შეხვდა მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობას შეუწყდა სოციალური დახმარება.

„მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია, თუ რა მიზეზით შეუწყდა მათ სოციალური დახმარება. მათთვის ასევე უცნობია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ სოციალური აგენტები მათი ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისას. ასევე, გაირკვა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის სწორად ინფორმირებული თავად სოციალური დახმარების არსისა და დანიშნულების შესახებ.

მოსახლეობის თქმით, სოციალური აგენტების ვიზიტი ხშირ შემთხვევაში დამამცირებელი და ღირსების შემლახავია. ინფორმაციის უქონლობის გამო, ისინი თავს სამართლებრივად დაუცველად მიიჩნევენ, რადგან ხელს აწერენ დოკუმენტს, რის შესახებაც ინფორმაცია არ აქვთ.

მოსახლეობის თქმით, სოციალური დახმარება არასამართლიანად ნაწილდება, რადგან უკიდურესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ პირებს დახმარება გაურკვეველი მიზეზების გამო მოხსნილი აქვთ, მაშინ, როცა ნაკლებად გაჭირვებულ პირებს სოციალური დახმარება ენიშნება", — აცხადებენ ორგანიზაციაში.

### ვერეს ხეობის ტოპოგრაფიული რუკა ნორვეგიული გრანტით

**იუსტიციის** სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვერეს ხეობის ციფრულ ტოპოგრაფიულ რუკას შექმნის. პროექტის განსახორციელებლად 220 000 ევროს ოდენობის დამატებითი გრანტი ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანომ გამოყო. მაღალი ხარისხის რუკა ყველა ტოპოგრაფიულ მონაცემს გააერთიანებს. საჯარო რეესტრმა მდინარე ვერეს აუზის ორთოფოტო გადაღება სექტემბერში დაასრულა. აეროგადაღებამ დაახლოებით 200 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია მოიცვა. გადაღების შედეგად მიღებული ორთოფოტოები და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაცია სტიქიის ზონის დეტალურ, ზუსტ ტოპოგრაფიულ მონაცემებს აერთიანებს. მაღალი ხარისხის ციფრული ტოპოგრაფიული რუკა სწორედ ამ ორთოფოტოებზე დაყრდნობით შეიქმნება.




ციფრული ტოპოგრაფიული რუკის დახმარებით, სახელმწიფო უწყებებს საშუალება ექნებათ, წინასწარ შეაფასონ გარემო პირობები და ეფექტურად დაგეგმონ ნებისმიერი სამუშაო, ამ სამუშაოსთვის საჭირო ტექნოლოგიები და ხარჯები. ამას გარდა, ეს მონაცემები უამრავ სფეროს, მათ შორის, ქალაქგეგმარებას, გარემოს დაცვას, ჰიდროლოგიას, გეომორფოლოგიასა და სხვა დარგებს გამოადგება. მათზე დაყრდნობით მუშაობა კი სამომავლოდ ხელს შეუწყობს ბევრი პრობლემის, მათ შორის, არასათანადო მშენებლობებისა თუ სხვა პროექტების განხორციელების თავიდან არიდებას.

### აფხაზეთის მთავრობაში ბავშვებს ეტლები გადასცეს



**აფხაზეთის** ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე საერთაშორისო ორგანიზაცია „Lions Interantional" დანიის ოფისის პრეზიდენტს იორინ ანდერსონსა და „Campus Lions Club Tbilisi" პრეზიდენტს საქართველოში რატი ქირიას შეხვდნენ.

ვახტანგ ყოლბაია და იორინ ანდერსონი მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. შეხვედრაზე აფხაზეთიდან დევნილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს გადასაადგილებელი ეტლები გადასცეს. ეტლები ეტაპობრივად 10 ბენეფიციარს დაურიგდება.

### ეკა მიშველაძე საზოგადოებრივ მაუწყებელს უბრუნდება

**ჟურნალისტი** ეკა მიშველაძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუს მოამზადებს. ჟურნალისტმა აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" დაუდასტურა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის დირექტორისგან მიიღო წინადადება, შეცვლილი ფორმატით საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს გაძღოლის თაობაზე. მიშველაძის ინფორმაციით, გადაცემა ეთერში, სავარაუდოდ, 2016 წლის იანვრიდან გავა.

„რა ცვლილებები იქნება შეტანილი, მონახაზი უკვე მაქვს. გადაცემა უფრო ანალიტიკური იქნება. მის ფორმატზე კი მიმდინარეობს მსჯელობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან. მიხარია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სტანდარტების ერთგული დარჩა", — აღნიშნა ჟურნალისტმა.

მისი ინფორმაციით, ბოლო ორი დღის განმავლობაში ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები ჰქონდა, მათ შორის გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს შეხვდა.

ეკა მიშველაძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე თოქ-შოუ „პირველ სტუდიას" უძღვებოდა. გადაცემა მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან დაიხურა. ამის მოტივად კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მრჩეველმა ბასა ჯანიკაშვილმა მიშველაძისა და „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ალექსი პეტრიაშვილის ქორწინება დაასახელა. „მაუწყებლის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტი, რომელიც პოლიტიკური ლიდერის მეუღლეა, უხერხულია, გაუძღვეს პოლიტიკურ გადაცემას" — განაცხადა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" დირექტორის მრჩევლმა ბასა ჯანიკაშვილმა.

ინტერპრესი

# თუმც მოსამართლე ყველაფერზე კვერს უკრავს...

**ამ დღეებში მედიაში გავრცელდა „საქართველოს უახლოეს ისტორიულ წარსულში ცნობილი საჯარო ფიგურის, ერთ-ერთი უმდიდრესი ქართველი ბიზნესმენისა და მეცენატის, საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლებების მიერ უსამართლოდ დევნილი ადამიანის," ბატონ ვანო ჩხარტიშვილის პრესსამსახურის განცხადება. რამე რომ არ შემეშალოს (ეშმაკს არ სძინავს!), შემოგთავაზებთ ფრაგმენტს ამ განცხადებიდან. იგი მთლიანად ესადაგება ბატონი ვანოს კოლორიტულ ფიგურაზე ბატონი ვანოს მიერვე შექმნილ ლეგენდას:**




**ჩვენ დღემდე არ გაგვიხდია საჯარო განხილვის საგნად ჩვენს ბიზნესებზე ძალადობის ის ფაქტები თუ სქემები, რომელშიც, სამწუხაროდ, საკუთარი სურვილითა თუ იძულებით, ჩართული იყო „თიბისი ბანკიც". ამას არც მომავალში გავაკეთებთ, რადგანაც ბანკი ნდობაზე აგებული ინსტიტუტია და ეჭვის შეტანა მის კეთილსინდისიერებაში, არა მხოლოდ ამ ბანკს დააზარალებს, არამედ მთელ საბანკო სისტემას და თითოეულ მოქალაქეს.**

**მაგრამ ეს არ ნიშნავს, შევეგუოთ ფაქტების უტიფარ გაყალბებას და დავიჯეროთ, რომ ჩემი აქტივები მათ მიერ კეთილსინდისიერად იქნა შეძენილი სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის ე. წ. აუქციონზე, სულ რაღაც ჩემი საქართველოდან განდევნიდან თვენახევარში. ეს იყო ძალადობა და სახელისუფლებო ბერკეტების ბოროტად გამოყენება, სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა ჩვენ მივმართეთ არა პროკურატურას, არამედ სასამართლოს, რადგან მიგვაჩნია, რომ დავებიდან უნდა ამოვიდეთ ცივილიზებულად და მალე, რათა ქვეყანამ წინ იაროს.**

**ამიტომაც, „თიბისი ბანკის" მესვეურებს მოვუწოდებ, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკითხს, შეეშვან დაშანტაჟების ცდებს და დაუბრუნდნენ სამართლებრივ სივრცეს. უფრო მეტიც, ჩვენ მზად ვართ, მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, რათა ბოლო მოეღოს სამართლებრივ დავას და უკანონოდ წართმეული ქონება სამართლიანად დაგვიბრუნდეს. ჩვენ ასევე მზად ვართ, ავანაზღაუროთ ის ხარჯები, რომლებიც მეორე მხარის მიერ კომპანიაში იქნა გაწეული". (სტილი დაცულია).**

კოლეგა ჟურნალისტების გასახარად უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს „უახლოესი ისტორიული წარსულისგან" განსხვავებით, ახლანდელი „ცნობილი საჯარო ფიგურები", თანაც უმდიდრესი ადამიანები, თურმე, გაზეთების წასაკითხადაც კი იცლიან!

მართალია, თავის „განცხადებაში" სპექტაკი ბატონი ვანო ჩემს გვარს არ მოიხსენიებს, მაგრამ, ალბათ, „სამართლებრივიდან შავი პიარის სივრცეში გადამნაცვლებელ" ერთ-ერთ პერსონაჟად მიგულებს და ჩემთვის ესეც დიდი პატივია.

საგულისხმო და მისასალმებელია მისი სურვილი, არც ახლა და არც მომავალში სახელი არ გაუტეხოს, ზოგადად, ქართულ საბანკო სისტემას და, კერძოდ, „თიბისი ბანკს", რადგან თურმე საბანკო სისტემა ნდობაზე დამყარებული ინსტიტუტია და მის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანა მთელ საბანკო სისტემას და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დააზარალებს. თუმცა, იქვე ამბობს, „ჩვენ დღემდე არ გაგვიხდია საჯარო განხილვის საგნად ჩვენს ბიზნესზე ძალადობის ის ფაქტები და სქემები, რომლებშიც, სამწუხაროდ, საკუთარი სურვილითა თუ იძულებით, ჩართული იყო „თიბისი ბანკიც"; „ბანკის მესვეურებს მოვუწოდებ, შეეშვან დაშანტაჟების ცდებს და დაუბრუნდნენ სამართლებრივ სივრცეს..." „არ შევეგუებით ფაქტების უტიფარ გაყალბებას..." მოკლედ, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ნოდარ დუმბაძე ბრძანებდა — „გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე..."

ბატონი ვანო „თიბისი ბანკისა" და სხვა ოპონენტების მისამართით ბრძანებს, „ეს იყო ძალადობა და სახელისუფლო ბერკეტების ბოროტად გამოყენება, სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა ჩვენ მივმართეთ არა პროკურატურას, არამედ სასამართლოს..." ჯერ ერთი, ეს მართლაც გახლავთ ნებისმიერი სერიოზული ინსტიტუტის სახელის გამტეხი გამოთქმა, მაგრამ, რაც მთავარია, ეს არის სიცრუე — „აგრიკომის" ქონება სწორედ პროკურატურამ დააყადაღა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც ამ მიმართვის დასკვნითი ნაწილი უნდა იყოს: **„უფრო მეტიც, ჩვენ მზად ვართ, მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, რათა ბოლო მოეღოს სამართლებრივ დავას და უკანონოდ წართმეული ქონება სამართლიანად დაგვიბრუნდეს".**

თუ სემიოლოგიაში (ენის ფილოსოფიაში) რამე გამეგება, ეს ფრაზა სალაპარაკო ქართულ ენაზე ამას ნიშნავს: **„თანამედროვე ქართული სამართალი ჩემს ხელშია. თქვენ, ვიგინდარა დოლიძე-ოსიპოვებო, ბანკირებო, ომბუდსმენებო, ადვოკატებო და ჟურნალისტებო, არაფერი გამოგივათ. სჯობს, ოპონენტებმა თავისი ქონება ულაპარაკოდ დამითმონ, თუ უნდათ, რომ მერე ჩემი ნასუფრალიდან გალოკილი ძვალი მაინც ერგოთ!**

სწორედ ეს გახლავთ ის „უფრო მეტი", რასაც ბატონი ვანო თავისი ოპონენტებისთვის იმეტებს. ეტყობა, ასეთი ცინიზმის საფუძველიც აქვს.

და რომ აქვს, ამას ჩხარტიშვილის მიერ სადაოდ ქცეული ქონებების თაობაზე გამართული სასამართლო პროცესებიც მოწმობს. უფრო ზუსტად, ამას მოწმობს მოსამართლე სულაკაძისა და თუნდაც, ჩხარტიშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის, ღვინიაშვილის საქციელი.

მადლობა ღმერთს, თანამედროვე საქართველოში სასამართლო პროცესზე დასწრება თავისუფალია; მისი მიმდინარეობის აუდიოჩანაწერი ხელმისაწვდომია პროცესის მონაწილეებისა და, საერთოდ, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ბუნებრივია — ჟურნალისტებისთვისაც. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ აუდიოჩანაწერების, სასამართლო პროცესის ოქმების ნამდვილობა უახლოეს მომავალში აუცილებლად გახდება ცხარე კამათის საგანი — უბრალოდ, საღი გონებისთვის დაუჯერებელია, მიუღებელია ყველაფერი ის, რაც იქ დღეს იწერება.

მაგალითები? — რამდენიც გნებავთ.

როგორც ამ კონკრეტულ თემაზე დაწერილ და „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილებშიც მოგახსენეთ, მოსარჩელე მხარის მთავარი არგუმენტი გახლავთ ის, რომ თურმე ივანე ჩხარტიშვილის წინააღმდეგ მოქმედებდა გრანდიოზული შეთქმულება „თიბისი ბანკის", შპს „აგრიკომის", „პორტლენდის", ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის, სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის ძლევამოსილი ტრიოსა და მთლიანად სახელმწიფო აპარატის მონაწილეობით. სწორედ ამის გამო ის იძულებული გამხდარა, ნისლიან ლონდონში გაქცეულიყო და იქ ერთხანს მულტიმილიონერის შესაფერ აპარტამენტებში ეცხოვრა. თუმცა ტერმინი „არგუმენტი" უადგილოდ მოვიშველიე. მოსარჩელე მხარის ინტერესების დამცველი არავითარ არგუმენტს არ ცნობს და არაფერსაც არ ამტკიცებს - ისე, ჰაიჰარად ამბობს, შეთქმულება არსებობდაო. მოპასუხეების არაერთ შუამდგომლობაზე, პატივცემულო მოსამართლე, მართალია, სხვაზე ხელი არ მიგიწვდებათ, მაგრამ აგერ ხომ გყავთ ბაჯაღლო ოქროსავით ვანო მერაბიშვილი, პროცესზე გამოიძახეთ და მოწმედ დაკითხეთო, მოსამართლე სულაკაძე პასუხობს, მის დაკითხვას აზრი არა აქვს, სიმართლეს მაინც არ იტყვისო. სამაგიეროდ, უყოყმანოდ იზიარებს ყველა სიტყვას თვითონ ბატონი ვანო ჩხარტიშვილისა, რომელიც საქმეში არის ერთდროულად დაზარალებული მხარეც, მოსარჩელეც და მთავარი მოწმეც!

მოპასუხე მხარე მოითხოვს პასუხს უმარტივეს კითხვაზე — **როგორ დააზარალებდა ჩხარტიშვილის ბიზნესს შპს „პორტლენდი" 2010 წელს, თუ იგი მაშინ, საერთოდ არ არსებობდა?** ღვინიაშვილის პასუხი ასეთია — **მე მიმაჩნია, რომ დააზარალებდა. პატივცემული მოსამართლე გადაწყვეტს.**

**— რა მოგება ექნებოდა ფოთის წისქვილქარხანას 2011 და 2012 წელს, იგი რომ არ გაყიდულიყო?** (შეგახსენებთ, რომ მანამდე დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ჩხარტიშვილის კუთვნილი ფოთის წისქვილქარხანა უმოქმედოდ იდგა და დანგრევის პირას იყო მისული. — **თ. ქ.**)

ღვინიაშვილი — მხოლოდ ზარალი.

**— მაშ საიდან იანგარიშეთ 18 მილიონი დოლარის მოგება? ეს გაანგარიშება რაიმე რეალურ მონაცემებს ეყრდნობა?**

— ჩვენმა ექსპერტებმა დაასკვნეს ასე და ჩვენც ვეთანხმებით. დოკუმენტები არ არსებობს. სიტყვაზე უნდა მენდოთ. **მოსამართლე გადაწყვეტს**.

**— რა საფუძველზე მოითხოვთ გრანდიოზულ თანხას, 32 მილიონ ამერიკულ დოლარს?**

— ჩვენ მოვითხოვთ. აგერაა **სასამართლო და ის გადაწყვეტს,** დააკმაყოფილოს თუ არა ჩვენი მოთხოვნა...

თითქოს უცნაურია, მაგრამ ჩხარტიშვილის მხარე არარსებული და სხვისი კუთვნილი საწარმოებიდან „მიუღებელი მოგების" დაანგარიშებისას უბრალო არითმეტიკასაც არ სცნობს — არ ითვალისწინებს ხარჯებს და თუნდაც წლიურ 6 პროცენტად სესხად აღებული 17 მილიონი ამერიკული დოლარის საბანკო მომსახურებას.

**მოსამართლეც კვერს უკრავს.**

უბრალო ლოგიკაა — კლიენტმა ბანკს ვალები დროულად ვერ გადაუხადა და მანაც გირაოდ ჩადებული ქონება აუქციონზე გაყიდა. კანონის შესაბამისად გაიმართა აუქციონი თუ რაიმე დარღვევებით, ჩხარტიშვილს ბანკთან უნდა ედავა და არა კეთილსინდისიერ მყიდველთან. მაგრამ მაშინ მისი გამარჯვების ალბათობა ძალიან დაბალი იქნებოდა. სწორედ „აგრიკომის" და სხვა ფირმების სასამართლო დავებში ჩასათრევად შეიქმნა აშკარად თითიდან გამოწოვილი შეთქმულების თეორია და დაიწყო ვანო ჩხარტიშვილისთვის წამებულის როლის მორგება. გამოიძებნა მოსამართლეც (გიორგი სულაკაძე), ვინც რაღაც მანქანებით ჩხარტიშვილთან დაკავშირებულ ყველა სასამართლო საქმის მიმდინარეობას გააკონტროლებდა და ბრმად გაიზიარებდა მოსარჩელე მხარის ნებისმიერ კაპრიზს.

როცა მიუღებელი მოგების ანაზღაურების მოთხოვნას ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა, სასწრაფოდ გამოიძებნა „უვადო" ალტერნატივა - „უსამართლოდ გამდიდრებული" მოპასუხეებისთვის ქონების ჩამორთმევისა და მისი მოსარჩელეებისთვის გადაცემის მოთხოვნა. არა აქვს მნიშვნელობა, არსებობდნენ თუ არა ბუნებაში ეს „გამდიდრებულები" დავის დაწყების მომენტში, აქვთ თუ არა რაიმე კავშირი დავის ობიქტთან...

ერთი სიტყვით, თურმე, უსამართლოდ გამდიდრებულია ბიზნესმენთა ის ჯგუფი, ვინც მრავალი წლის განმავლობაში წვითა და დაგვით ბიზნესიააწყო, დოვლათი შექმნა, ღატაკ ქვეყანაში ადამიანები დაასაქმა და სტაბილური შემოსავალი გაუჩინა. სამაგიეროდ, სამართლიანად გამდიდრებულია კაცი, მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, ვინც ერთ მშვენიერ დილას ასმილიონიანი ქონების მფლობელად გაიღვიძა (არა, არა, მდიდარი პაპისგან მემკვიდრეობა არ მიუღია!) და მთელი თავისი „ბიზნესმოღვაწეობა" სხვისი ქონების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლას მიუძღვნა. არც იმის ეშინია, რომ ოდესმე სამართალი მისი „სამართლიანი გამდიდრების" გზა-კვალსაც გაარკვევს.

ახლახან საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლის მოქმედება, რომელიც ყადაღადადებული ქონების მოსარჩელისთვის დაუყოვნებლივ გადაცემას მოითხოვს. ეს მუხლი სააკაშვილის ხელისუფლებამ სწორედ ბიზნესის დასაყაჩაღებლად, ქვეყანაში არსებული ქონების „თავისიანებზე" გადასანაწილებლად და გასაკონტროლებლად შემოიღო. ამის გარდა, ქონების მფლობელებს მოუსპო მისი დაბრუნებისთვის ბრძოლის საშუალება. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება არის ბიზნესის რეალური დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული სწორი და დროული ნაბიჯი და არაფერი აქვს საერთო ნაცმოძრაობის სპეკულანტურ ბრძოლასთან „სიტყვის თავისუფლებისთვის".

**დაბოლოს, ერთი გულწრფელი რჩევა ბატონ ჩხარტიშვილს: თქვენი სახელით საჯარო განცხადებების გაკეთებას ნუ ანდობთ თქვენს პრესცენტრს (თუ ასეთი ბუნებაში მართლაც არსებობს) — თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს კაცს, ახლო წარსულში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ქველმოქმედსა და მეცენატს არ ეკადრება ის უწიგნურობა, რაც მის დამწერს „განცხადებაში" ჩაუტევია. არა აქვს მნიშვნელობა, რას გადაწყვეტს სულაკაძის სასამართლო! დღევანდელობაზე ობიექტურ განაჩენს მომავალი თაობები გამოიტანენ.**



**თეიმურაზ ქორიძე.**



# მცირე მეწარმეობა ისევ განწირულია?!.

## ანზორ საკანდელიძე: დღეს ბიზნესი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ამდიდრებს მდიდრებს და აღარიბებს ღარიბებს

**ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, როგორც წესი, პირობას იძლევა, რომ თუ არჩევნებში გაიმარჯვებს, უწინარესად, მიხედავს ეკონომიკას, განავითარებს წარმოებას, განსაკუთრებით საშუალო და მცირე მეწარმეობას, დაასაქმებს ხალხს და უზრუნველყოფს მის სოციალურ კეთილდღეობას. ასე იყო ამჯერადაც, იყო დაპირებები, მაგრამ თუ რამდენად შესრულდა ისინი, ამის სურათს იძლევა 2014 წლის ბიზნესის მონაცემები, რაც „საქსტატის" ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა: შარშან საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ ქვეყანაში 50.1 მილიარდი ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა მოცულობამ 26.1 მილიარდი ლარი შეადგინა. მთელი ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით ასე გამოიყურება: მსხვილი ბიზნესი — 81,9 პროცენტი, საშუალო ბიზნესი — 8,7 პროცენტი, მცირე ბიზნესი — 9,4 პროცენტი.**

**ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთავრობის დაპირების მიუხედავად, ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი კვლავაც მცირეა. არადა, მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ეკონომიკაში, მით უფრო მეტია ქვეყანაში სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიის ხარისხი.**

**რატომ არ დაადგა საშველი საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებას? — ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარეს ანზორ საკანდელიძეს.**

— ᲗᲣ რატომ არის მცირე მეწარმეობა ასეთ სავალალო მდგომარეობაში, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ორგზის ყოფილი ფინანსთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის, „ბაზისბანკის" მესაკუთრის ზურაბ ნოღაიდელის 10-წლიან ვაიმოღვაწეობაში, რომელმაც ქვეყანას დაუტოვა თავის ბანკსა და საკუთარ ტანზე ჩოხასავით მორგებული საგადასახადო კოდექსი, რომელიც დღემდე ზღაპრულად ამდიდრებს ბანკირებსა და მდიდრებს და უმოწყალოდ აღარიბებს მცირე მეწარმეებსა და ღარიბებს. ხსენებული კოდექსი მაღალი საგადასახადო ტვირთით, მცირე და მსხვილი მეწარმეების თანაბრად დაბეგვრით ანადგურებს სამუშაო ადგილების ძირითად შემქმნელ მცირე სამრეწველო მეწარმოებას, უწინარესად კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ ადგილობრივ მცირე საწარმოებს, რომელთა შორის, დიდი ალბათობით, აღმოჩნდებიან „აწარმოე საქართველოში" და სხვა სამთავრობო პროგრამებით ამუშავებული მცირე საწარმოებიც.




დღეს ეს მცირე სამრეწველო საწარმოები, ფაქტობრივად, განწირულები არიან, რადგან ისინი ეფუძნებიან 1999 წელს ჩვენი დიდი ძალისხმევით მიღებულ და 2006 წელს ნოღაიდელის მიერ დანაშაულებრივად გაუქმებულ მცირე მეწარმეთა ბიზნესების, უფლებებისა და ინტერესების დამცველ ერთადერთ კანონს, რომლის აღდგენისათვის 3 წელიწადია ახალ ხელისუფლებასაც არაფერი გაუკეთებია. **ᲓᲘᲐᲮ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 9 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲒᲐᲠᲔᲨᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲗᲐ 90 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ 70 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲐ.**

**— მაგრამ, ბატონო ანზორ, მთავრობამ ხომ შეიმუშავა 2013-2020 წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია?**

— სამწუხაროდ, აღნიშნული სტრატეგიაც არ ითვალისწინებს მცირე მეწარმეობის შესახებ კანონის აღდგენას, აგრეთვე, საგადასახადო, მცირე მეწარმეობის, სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურებისა და მონეტარული ეკონომიკური რეფორმის აუცილებლად გატარებას, რის გარეშეც დღევანდელი ეკონომიკური კოლაფსიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იქნება. „ქართული ოცნება" უკვე მერამდენე წელია, უარს ამბობს ხსენებული კანონის აღდგენისთვის საჭირო სულ რაღაც 0,4 მილიონი ლარის გამოყოფაზე, მაშინ, როდესაც 2016 წლის ბიუჯეტში ბიუროკრატიის შენახვის ხარჯები, წინა წელთან შედარებით, 57 მილიონი ლარით იზრდება(!).

**— ასეთ დროს ხომ არ აჯობებდა, თქვენ შეგეთავაზებინათ მთავრობისთვის ისეთი პროგრამა, რომელიც ერთ ადგილზე გაყინულ მცირე მეწარმეობას ადგილიდან დაძრავდა?**

— როგორც იცით, თავის დროზე 25 ათასზე მეტი ჩანაწერი აღმოაჩინეს. არავის აქვს იმის გარანტია, რომ გარკვეული ჩანაწერები კიდევ არ არსებობს და შესაძლოა, ეს იმ ადამიანებს ჰქონდეთ, რომელთაც თავის დროზე ამაზე ხელი მიუწვდებოდათ. არავინ იცის, ისინი როდის და როგორ გამოიყენებენ... თუნდაც, ფინანსური დაინტერესების მიზნით. რაც შეეხება იმ საუბრების ჩანაწერებს, რომელსაც უკრაინული მხარე ავრცელებს, მათ ავთენტურობაზე ეჭვი აღარ გვეპარება და ამაზე სამართალდამცავები მუშაობენ. გაგრძელდება თუ არა კიდევ ასეთი ჩანაწერების გამოქვეყნება, ძნელი სათქმელია. რაც შეეხება ახალ საუბრებს, ალბათ, ამ საუბარში მონაწილე ადამიანები, სავარაუდოდ, მოერიდებიან ასეთ აშკარა კონტაქტებს... გადატრიალებაზე საუბრებს და ა. შ. ჩემი ინფორმაციით, ამ საქმეზე ქართულ მხარესთან ერთად უკრაინული მხარეც იქნება ჩართული და ერთობლივ საგამოძიებო მოქმედებებს ჩაატარებენ.

**— დადგება თუ არა სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— არ ვიცი, მასალები ამ ეტაპზე მართლაც იძლევა ამის საფუძველს, მაგრამ გამოძიება რას იტყვის, დაველოდოთ. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ იმას, რომ პატივი ვცეთ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას, სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ისეთი სასამართლო განაჩენი დამდგარა, რომელსაც არ ვეთანხმებოდი მე ან ჩემი პოლიტიკური პარტია, მაგრამ ვემორჩილებოდით.

**— მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს?..**

— თუნდაც, იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად სუბიექტური იყო. სამწუხაროდ, დღესაც თვალნათელია, თუ ვის იცავს ის, პაპუაშვილის უწყება ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ინტერესებს ატარებს მხოლოდ და მხოლოდ. ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენები პირდაპირ მიუთითებს ამაზე. თუ ადრე თვეობით ედოთ საქმეები, ახლა საათებში სრულდება განხილვა.

**— თქვენ გულისხმობთ „დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებას?**

— დიახ. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც დარწმუნებული ვიყავი, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლო ისე გამოიტანდა განაჩენს, რომ არ მოითხოვდა დაუყოვნებლივ აღსრულებას. ეს ჩემი შთაბეჭდილებაა. სასამართლო უნდა ეცადოს, სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაფერი გამართული და გარკვეული იყოს. ის უარყოფითი რეაქციები, რაც აქვთ ნაციონალური მოძრაობის წევრებსა და მომხრეებს, არ ეხება უშუალოდ სასამართლო პროცესს. უფრო ყურადღებას ამახვილებენ ურთმელიძის პიროვნებაზე, პოლიტიკურ დაკვეთაზე და ა. შ. **დამერწმუნეთ, დღეს ვერც ერთი მოსამართლე საქართველოში ვერ გაბედავს, გამოიტანოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლის დამამტკიცებელი საბუთი ხელში არ უჭირავს. აღარ არის ჩალით დახურული ქვეყანა, ადამიანები მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულები არიან სამართალში, ამიტომ მოსამართლეც ცდილობს, მისი ვერდიქტი იყოს მყარი და კანონიერი, რომ ყველა ინსტანციაში გაიმარჯვოს.**

**— ანუ თქვენ ვარაუდობთ, რომ „რუსთავი-2“-ის საქმე სამართლის ჩარჩოებში წარიმართება... თემას დავუბრუნდეთ, რაც შეეხება სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს. როგორ წარმოგიდგენიათ უკრაინულ მხარესთან თანამშრომლობა?**

— საქმე ისაა, რომ უკრაინა ჩვენი უახლესი მეგობარი ქვეყანაა. ამ დროს მიხეილ სააკაშვილი ამ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირია. არადა, გუბერნატორი სააკაშვილი პირდაპირ მოუწოდებს თავის თანაგუნდელებს, სხვა ქვეყანაში მოაწყონ სისხლისღვრა, გადატრიალება და ა. შ. ასეთ შემთხვევაში სრულიად მართებულად მოიქცა პრემიერი ღარიბაშვილი, რომელმაც ძალიან კორექტული მოთხოვნა გაუგზავნა უკრაინის პრეზიდენტს, რათა გაერკვეს, ვინ არის მისი ქვეყნის ოფიციალური თანამდებობის პირი და ეთანხმება თუ არა პოროშენკო იმ მოსაზრებებს, რასაც სააკაშვილი ახმიანებს. სააკაშვილი რომ იყოს კერძო პირი, ან ბიზნესმენი, მაშინაც კი მოეთხოვებოდა პასუხი ამაზე... მით უმეტეს, ახლა!!! რას იზამს პოროშენკო, არ ვიცით...

**— ქალბატონო გუგული, იმედია, ქვეყნის სტაბილურობას საფრთხე არ შეექმნება... ახლა კი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემა — 2016 წლის ბიუჯეტი. მთავრობის დაგეგმილი ბიუჯეტი პარლამენტმა უკან დააბრუნა, ხოლო აღმასრულებლებმაც თითქმის უცვლელად დააბრუნეს საკანონმდებლო ორგანოში. რატომ, რა ხდება?**

— ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ოქტომბერში შემოვიდა, კომიტეტებმა განიხილეს და შეფასებები გადააგზავნეს. მთავრობაც ამ პროცესში იყო ჩართული. მნიშვნელოვანი შენიშვნები არც ყოფილა, რადგან, სიმართლე გითხრათ, ეს არის ძალიან კონსერვატიულად დაგეგმილი ბიუჯეტი. გათვალისწინებულია ისიც, რომ საშემოსავლო ნაწილი და ხარჯვითი ნაწილი იყოს დაბალანსებული. დეფიციტი არის მინიმუმი. არ ხდება ვალდებულებების ზრდა: არც საშინაო ვალებს არ იღებს, და არც — საგარეოს. ბიუჯეტის კრედიტიც გათვალისწინებულია საინვესტიციო პროგრამებისთვის. ერთადერთი კრიტიკა რაც ჩვენ გვქონდა და რისი პასუხი ჯერ არ ვიცით, იყო შემდეგი: თუკი გაუარესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო, ბიუჯეტის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ძირითადად საინვესტიციო პროგრამები შემცირდება, რაც ეკონომიკისთვის კარგი არ არის. თუმცა, მეორე მხრივ, ვინაიდან ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის სოციალური პროექტები უფრო მნიშვნელოვანია, ამ ტიპის მთავრობას სოციალური სფეროსთვის ხელის ხლება და თანხის შემცირება ძალიან გაუჭირდება. არადა, ინფრასტრუქტურული პროექტების გადადებაც, როგორც ვხედავთ, ხელს არ უწყობს ეკონომიკის ზრდას. ანუ ეს დილემა, სავარაუდოდ, მომავალ წელს გვექნება, თუ, რა თქმა უნდა, დეფიციტი შეიქმნება.

**— მომავალი წლის ბიუჯეტში პენსიების ზრდა არ არის გათვალისწინებული, რაც მოსახლეობის გულისწყრომას იმსახურებს. ამ მიმართულებით თუ ხდება რამე „შიდა სამზარეულოში“?**

— დიახ, არის საუბრები იმაზე, რომ იქნებ მოვახერხოთ პენსიების ზრდაც. ჯერჯერობით, ველოდებით მესამე დეკადის დამთავრებას, თუ რა შემოსავლებს გვიჩვენებს საგადასახადო სტრუქტურა. **დაახლოებით 700 ათასი პენსიონერი გვყავს და შეიძლება 10 ლარით მატება, თუმცა, ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდია, გააჩნია, შემოსავალი რამდენი იქნება**. არ გვინდა კრედიტების აღება, გვინდა რეალისტური იყოს ჩვენი ბიუჯეტი, აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. როგორც მთავრობა ამბობს, თუკი გამოგვიჩნდება დამატებითი ფული, ცხადია, ეს ფული პენსიონერებისკენ წარიმართება.

**— რომელი სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება ან მცირდება?**

— განათლების კუთხით სხვადასხვა პროგრამებისთვის დამატებით 100 მილიონი არის გამოყოფილი, დანარჩენ სამინისტროებში არ არის მნიშვნელოვანი ზრდა, მაგრამ არც კლება არ იგეგმება. მიმაჩნია, რომ მთავრობამ კარგად იმუშავა, თანხებიც, პრაქტიკულად, გათვალა, და არ არის ის პიარზე ორიენტირებული.

დავამატებ რომ, ფული გამოინახა თვითმმართველობისთვის, მათთვის 300 მილიონია გამოყოფილი ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტების განსახორციელებლად.

**— და, ბოლოს, თქვენ ხშირად მონაწილეობთ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, რა თქმა უნდა, სამთავრობო კონფერენციებზე თუ სხვაგან. როგორია დასავლელი პარტნიორების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, როცა მათგან საჯაროდ ხშირად უფრო მეტი კრიტიკა გვესმის , ვიდრე შექება?**

— დასავლელი აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან დამოკიდებულება არის დადებითი. ვიზალიბერალიზაციის თუ ასოციირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საქართველო საშინაო დავალებებს კარგად ასრულებს. ამაზე მოწმობს მათი გახშირებული ვიზიტები. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ფლაგმანია, რეალური პრეტენდენტია იმისა, რომ სერიოზულად დაუახლოვდეს ევროპულ ღირებულებებს. ის რომ, 10-12 დეპუტატია, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას უჯერებენ ყველაფერს, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. რომ ნახოთ მათი ტექსტები, ზუსტად ერთმანეთის იდენტურია, „კოპიფეისტია“ გიორგი კანდელაკის მიერ გაგზავნილი წერილებისა, რომელსაც ან წინსართს გაუკეთებენ, ან ბოლოსართს და ასე აქვეყნებენ. ეს არ არის მათი დამოუკიდებლად მიღებული განწყობა და შთაბეჭდილება საქართველოში განვითარებული პროცესების მიმართ. ამის პარალელურად, ყოველთვის ობიექტური არიან ის ევროპელი პარლამენტარები, რომლებიც აკვირდებიან და საქართველოს ევროპასთან ასოცირების თავისებურად მხარდამჭერები არიან. მათ რეკომენდაციებში აღნიშნულია მიღწევებიც და ასევე ფრთხილად არის გაკეთებული შენიშვნებიც, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობისთვის გასათვალისწინებელია.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## დედამიწის ზურგზე



### წყაროები იტყობინებიან სირიაში რუსეთის ფედერაციის კონტინგენტის 4 ათას კაცამდე გაზრდის შესახებ

ამას გარდა, წყაროები, რომლებიც იცნობენ ამერიკის დაზვერვის მონაცემებს, ამტკიცებენ, რომ რუსეთმა სირიაში განიცადა სამხედრო დანაკარგები. ამავე დროს კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებენ. ასევე იტყობინებიან იმ სამხედრო ბაზების გაზრდის შესახებ, რომლებზეც დისლოცირებული არიან რუსეთის ფედერაციის საჰაერო-კოსმოსური ძალები.

### აბრამ ლინკოლნის სიკვდილისწინა ავტოგრაფი 2,2 მილიონ დოლარად გაიყიდა

აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ რამდენიმე შემორჩენილი ქაღალდი, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების მე-16 პრეზიდენტი ახდენდა თავისი სახელგანთქმული მეორე ინაუგურაციის სიტყვის ციტირებას. ავტოგრაფი, რომელიც ამასწინანდელ ვაჭრობაზე გაიყიდა, შედგა ლინკოლნის ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა მინისტრის 10 წლის შვილისათვის საჩუქრად.

### ტაშკენტში სამხედროები გადაყვანილი არიან ყაზარმულ მდგომარეობაში, წყაროები საუბრობენ „უშიშროების რეალური საფრთხის“ შესახებ

ანონიმური წყაროები იტყობინებოდნენ ღონისძიების გაძლიერების შესახებ, რაც შემოიღეს უზბეკეთის თავდაცვის სამინისტროს ტაშკენტის გარნიზონის ყველა ნაწილისათვის და უზბეკეთის დედაქალაქის სამართალდაცვის ორგანოებისათვის. მილიციონერებს აუკრძალეს მობილური ტელეფონების გამოყენება. სიტუაციას აკონტროლებს ეროვნული უშიშროების სამსახური. წარმოქმნილი საფრთხის ხასიათის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

### „ნასა“ იწყებს ასტრონავტების შერჩევას მარსზე გაფრენისთვის

წითელ პლანეტაზე გაფრენისთვის კანდიდატების შერჩევა მოხდება 2015 წლის 14 დეკემბრიდან 2016 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე. ასტრონავტების სახელებს გამოაქვეყნებენ 2017 წლის შუა პერიოდში. მაგრამ შერჩეულები უმალვე ვერ გაფრინდებიან მარსზე, მანამდე ისინი მონაწილეობას მიიღებენ ხომალდ „ორიონის“ პილოტირებულ გამოცდებში, რომლებიც 2020 წელზე ადრე არ მოეწყობა.

### აშშ გამოვიდა გაეროში რუსეთის ფედერაციის ინიციატივის წინააღმდეგ კოსმოსში იარაღის განუთავსებლობის შესახებ

რეზოლუცია, რომელიც შეტანილი იყო რუსეთის მიერ 25-ზე მეტი ქვეყნის თანაავტორობით, მათ შორის ბელარუსის, ყაზახეთის, ჩინეთის, პაკისტანისა და სირიის ჩართვით მიღებული იქნა ხმების უმრავლესობით. მას მხარი 122-მა სახელმწიფომ დაუჭირა მაშინ, როდესაც 47-მა, ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებმა თავი შეიკავეს. საქართველომ, ისრაელმა და უკრაინამაც ასევე წინააღმდეგ მისცეს ხმა.

### რუმინეთში ვიქტორ პონტის მთავრობის გადადგომამ ვერ შეაჩერა მასობრივი პროტესტები

სულ ცოტა 30 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის საპროტესტო აქციაში რამდენიმე საათიდან მას შემდეგ, რაც გადადგა ვიქტორ პონტის მთავრობა ხანძრის გამო ღამის კლუბში, რამაც 32 კაცის სიცოცხლე შეიწირა. პროტესტის მონაწილეებმა მოითხოვეს პარლამენტის დათხოვნა, ვადამდელი არჩევნების მოწყობა და პოლიტიკური რეფორმების გაგრძელება.



# ქართული ეროვნული ბალეტის 70 წელი



**შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როდის გაჩნდა საქართველოში ცეკვები, ჩვენს ერამდე IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე უპასუხებს, რომ ქართველ ტომთა შორის ფართო გავრცელება მოიპოვა საერო მუსიკამ, სამხედრო და საცეკვაო მელოდიებმა.** ქართველები ბრძოლაშიც კი სიმღერებითა და ცეკვებით ერთვებოდნენ, ეროვნული ფოლკლორის ტრადიციაში შემორჩენილა როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული ეპოქის სარიტუალო სიმღერები და ცეკვები. მაგრამ მხოლოდ გასულ საუკუნეში „ამუშავდა" დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობის შესახებ კლასიციზმის ურყევი პრინციპი. ეს ორი დიდი ქორეოგრაფის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შეხვედრის შემდეგ მოხდა, რომელთა ოჯახურმა დუეტმა ქართული ნაციონალური ბალეტი მსოფლიო კულტურის ჭეშმარიტ მიღწევად აქცია და რის წყალობითაც საქართველო საერთაშორისო გაერთიანებას წარუდგინა, როგორც საქართველო და არა ნაწილი სსრ კავშირისა, რომლის საზღვრების გარეთაც ყველა რუსად ითვლებოდა, ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა – ამ განუყრელმა წყვილმა სცენაზეც და ცხოვრებაშიც – თავიანთი კოლექტივი 1945 წელს დააფუძნეს, რეალობად აქციეს ოცნება, რაც ჩამოყალიბებული ცხოვრების უტყუარი დასტურია.

70 წლისთავს ანსამბლისა, რომელსაც ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები" ეწოდება, მიეძღვნა სუხიშვილების „მეორე ტალღის" ერთ-ერთი საუკეთესო მოცეკვავის თენგიზ უთმელიძის გამოფენა. იგი ერწყმოდა პოეზიისა და მოგონებათა საღამოს – ღონისძიებას, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის ეგიდით იყო ორგანიზებული მწერალთა სახლში. როდესაც ღონისძიებას ხსნიდა, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა: „საქართველოში სულიერების ოთხი ღვთიური ჩირაღდანია, ესაა ჩვენი პოეზია, ხატწერა, სიმღერები და ცეკვები".

საღამოს მთავარი მოქმედი პირი თენგიზ უთმელიძე ქართული კულტურის ჭეშმარიტ დამფასებლებს დაამახსოვრდათ არა როგორც განუმეორებელი ტარიელი თეატრალიზებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიციიდან „ვეფხის ტყაოსანი" (ავთანდილს ცეკვავდა თენგიზ სუხიშვილი, ფრიდონს –პოემის გმირის სეხნია ფრიდონ სულაბერიძე, ნესტან-დარეჯანს – განუმეორებელი ლატავრა ფოჩიანი). ოი, როგორი ლამაზები და მომხიბვლელები იყვნენ ისინი. თენგიზ უთმელიძეს კი ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს აგრეთვე, როგორც სუხიშვილების მრავალწლიან არქივარიუსსა და ფოტომემატიანეს, და ეს მისი ფოტოგრაფიებისა და არქივის ანგარიშით უკვე 30-ე გამოფენაა.

მხატვრული ფოტოგრაფიები (ძირითადად, შავ-თეთრი, რომ მხოლოდ მათში აისახება წარმოსახვის სულიერება); სტენდების მინების ქვეშაა – აფიშები, სამახსოვრო ბუკლეტები, პროგრამები, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები... ყველა არა, რასაკვირველია. სახუმარო საქმე ხომ არაა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კოლექტივი იყო 250 ტურნეში, 11-ჯერ იმყოფებოდა 5 კონტინენტზე, 88 ქვეყანაში, გამართა 12300 კონცერტი, ჯგუფის მაყურებელი კი 7 მილიონზე მეტი კაცი იყო – ეჭვი მაქვს, რომ ესეც მოძველებული მონაცემებია, განახლება კვლავ იქნება. ერთადერთი გაწბილებაა, რომ არაა განმარტებითი წარწერები – ვინ (რა), სად (როდის). სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ გამოფენების უბედურებაა, არამედ ქართული მუზეუმებისაც, მათ შორის, სახელმწიფო მუზეუმებისაც.

პოეტურ ალავერდობას – ესტაფეტას, რომელსაც მელექსეები გადასცემდნენ ერთმანეთს, აღგზნებული თვალებით უსმენდნენ წარსულში სახელგანთქმული მოცეკვავეები – დღეს დამსახურებულ დასვენებაში მყოფი „მეორე ტალღის" ლეგენდები... ლექსებს – თავისსაც და გასულ საუკუნის კლასიკოსებისასაც – მიძღვნილს ქართული ცეკვის ჯადოქრებისადმი, კითხულობდნენ სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა არტისტული მონაცემებისა და სხვადასხვა ლიტერატურული ნიჭის პოეტები. თუმცა – ყველა გულწრფელად და უშუალობით.

თენგიზ უთმელიძემ გაიხსენა ჭეშმარიტი გარღვევა – სუხიშვილების ტრიუმფული გასტროლები „ლა სკალაში" 1967 წელს. ფოლკლორულ ანსამბლს საოპერო ხელოვნების ამ ციტადელში მისცეს შესაძლებლობა, გამოსულიყო ისტორიაში პირველად და უკანასკნელად – და ორგანიზატორებს ამის გამო არ უნანიათ! ოვაციები, პრესის აღტაცება და „მწვანე შუქი" მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე ატლანტიკის ამა თუ იმ მხარეებზე. ხელოვნების სამყაროში მოცეკვავეებს არ მოუხვეჭიათ ჩემპიონის გვირგვინები ინტელექტის სფეროში, თუმცა წესები ხომ არაა გამონაკლისების გარეშე. სხვა საქმეა – ქორეოგრაფია, აქ ცეკვების დამდგმელები, მით უმეტეს ბალეტის ახალი ჟანრის შემქმნელები, თავს ვერ გაართმევენ საქმეს არა მხოლოდ ღრმა ცოდნისა და ცოცხალი შემოქმედებითი აზროვნების, არამედ „აბსოლუტური ესთეტიკური გემოვნების" გარეშე. სუხიშვილ-რამიშვილის შემთხვევაში ყველა ამ ღირსებათა „პასიანსი" ჩამოყალიბდა გასაოცრად წარმატებულად. და იყო გაბრწყინებული სიყვარულითა და მსხვერპლთშეწირვით – უეჭველია, ყოველგვარი მაღალი წამოწყების მთავარი შემადგენელი ნაწილით. დამფუძნებელი ცოლ-ქმარი საქმეს მიუდგა არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ მეცნიერული პოზიციიდანაც. ღრმად შეისწავლეს მათ ქართული ფოლკლორი მის ყველა იპოსტასში – მუსიკაშიც, ლიტერატურაშიც, სახვით ხელოვნებაშიც, მაგრამ მაინც, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ქორეოგრაფიაში.

ანბანური ჭეშმარიტებაა: საქართველოში არის ისეთი მცნება, როგორიცაა „საცეკვაო დიალექტი", ესე იგი ყოველ რეგიონში არის ცეკვის შესრულების თავისი მანერა. ამ სწორუპოვარი კოლექტივის არა მხოლოდ მცოდნეებმა, არამედ მისი ბრწყინვალე კონცერტების ასეულობით ათასმა მაყურებელმაც შეაფასა და იგრძნო – როგორი სიზუსტით განახორციელეს ქორეოგრაფიული ნომრების დამდგმელებმა ჟანრული სიზუსტე და ნაირფეროვნება, არამედ შესრულების სხვაობაც კახურ, ქართლურ, რაჭულ, სვანურ, მეგრულ, იმერულ, გურულ, აჭარულ, მთიულურ ცეკვებს შორის. სია კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. არსებობდა ქართული ცეკვების სამი ნაირსახეობა – სოლო, წყვილი და ჯგუფური. აუცილებელი კანონი: ქალთა მოძრაობა, ტემპური მოძრაობებიც კი, არის ყოველთვის ნაზი და გრაციოზული, სვლა კი – მხოლოდ პატარა, მოკლე ნაბიჯებით. მამაკაცები კი, პირიქით, ავლენენ მეომრულ განწყობილებას, რაც წარმოსახვას პოულობს აფრენების, სარისკო პირუეტების კალეიდოსკოპში, რისგანაც მაყურებელს სული ეხუთება. ცეკვის დროს ზურგი, როგორც მამაკაცებისა, ისე ქალებისა, ყოველთვის რჩება პირდაპირი და უძრავი. და კიდევ – გონების დამთრგუნავი დეტალი – წყვილთა ცეკვაში ქალი ყოველთვის მამაკაცზე წინაა.



მაგრამ ეს ყოველივე – მხოლოდ ფუტლარია, ნახატი, კონტური... ქართული ცეკვის სული კი – ჯადოსნური ვიოლინოა, რომელიც ამ ფუტლარში დევს – მოძრაობის სინარნარე და კეთილშობილება. ასეთია „ქართული" – სიყვარულის, სილამაზისა და სიკოხტავის, გამჭრიახობისა და გამაფრთხილებლობის პოემა. ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ლატავრა ფოჩიანი და ფრიდონ სულაბერიძე, ალა დვალი და ვახტანგ გუნაშვილი – იდეალური წყვილები იყვნენ ამ ცეკვის – ქართული და მსოფლიო ქორეოგრაფიის ჭეშმარიტი მარგალიტის – შესრულებისათვის. დიდი ბალეტმეისტერი იური გრიგოროვიჩი ამ სხივმოსილ ცეკვას „დახვეწილს და მეტყველს" უწოდებდა. მას ამუშავებდნენ, უცვლიდნენ სტრუქტურას, არქიტექტონიკას ყოველი ცეკვის თითოეულ მოძრაობამდე, აღწევდნენ გეომეტრიულ წარმოსახვას და გრაფიკულ სიზუსტეს. და ისინი აღწევდნენ მწვერვალებს, კიდევ უფრო მაღლა სწევდნენ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას – მაღალმხატვრულს, უნივერსალურს.

აი, ამონაწერი მსოფლიო პრესიდან „შეეცადეთ, ახტეთ ისე, რომ ჰაერში შეჯგუფდეთ, შემდეგ დაეცეთ იატაკზე, პირდაპირ მუხლებზე და ახტეთ ისევ, რომ გაიმეოროთ კვლავ და კვლავ! შეასრულეთ ბრუნვა თითებზე რბილ ფეხსაცმელებში ისეთი სიჩქარით, რომ ვერავინ შეხედოს თქვენ სახეს. და იქვე იტრიალეთ მუხლებზე სცენის პარამეტრის შესაბამისად. მოხიბლეთ შესანიშნავი ქალბატონები, რომლებიც მშვიდად და გატაცებით ადევნებენ თვალყურს თქვენს გაბედულ ცეკვას, რომლის მიზანიც – მათი კეთილგანწყობილების მოპოვებაა".„შტორმი სცენაზე", „ქართველი მსახიობები – ეს თავად სრულყოფილებაა. ეს ცეკვაც კი არაა, ესაა – ფრენა. ქარიშხალი სცენაზე! მათი ცეკვა გამოწვევას უგზავნის გრავიტაციის კანონებს. მამაკაცური ყოყოჩობისა და ქალური გრაციოზულობის კავშირი". „თუ ცეკვა კარგია, – ამბობდა თავად ნინო რამიშვილი, – მისი დამთავრების შემდეგ რჩება სურვილი – უყურო კიდევ და კიდევ..." იგივე შეიძლება ითქვას კარგ ლექსზეც. და მწერალთა სახლში გამართულ საიუბილეო საღამოზეც, რომელიც სუხიშვილებს მიეძღვნა...

**ვლადიმერ სარიშვილი**

**Аргументы и факты**

**2015 წლის ოქტომბერი**



Georgian National Ballet SUKHISHVILI



ოლიმპიზმის ხელშეწყობისთვის

# სარეკლამო კომპანია სეოკ-ის პარტნიორი გახდა




**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და სარეკლამო კომპანია „აუთდორ.ჯი"-ის დირექტორმა კონსტანტინე ჭავჭანიძემ სეოკის ოფისში ხელი მოაწერეს სპარტნიორო ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობას 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ბოლომდე.**

**„გავაფორმეთ მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომლის მიზანია ოლიმპიზმის ხელშეწყობა, სხვადასხვა თაობის ოლიმპიური ჩემპიონების კიდევ უფრო პოპულარიზაცია და რიო-დე-ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტთა წარმოჩენა. ჩვენ გვაქვს არაერთი საინტერესო პროგრამა სპორტის განვითარებისთვის, რასაც დროთა განმავლობაში შევთავაზებთ საზოგადოებას. სწორედ ამაში დაგვეხმარება ჩვენი ახალი პარტნიორი, რომელსაც სარეკლამო საქმეში დიდი გამოცდილება აქვს,"** — განაცხადა ხაბელოვმა.

თავის მხრივ, კონსტანტინე ჭავჭანიძემ კმაყოფილება გამოთქვა ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის დაწყების გამო: **„ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ვხდებით ოლიმპიური მოძრაობის პარტნიორები. იმედი გვაქვს, რომ ერთად არაერთ კარგ და საჭირო საქმეს გავაკეთებთ. ჩვენთვის დიდი პატივია, ვიდგეთ ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელების გვერდით".**

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ბოლქვაძე ბრიტანულ ტურნირს გამოეთიშა



**ქართველი ჩოგბურთელი მარიამ ბოლქვაძე დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლაფბოროში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარი) გამოეთიშა.**

ერთეულთა შეჯიბრის მერვედფინალში ბოლქვაძე მე-3 ნომრად განთესილ ჩეხ კატერინა ვანკოვას გაეჯიბრა და 0:6, 0:6 წააგო.

წყვილებში ბოლქვაძე და ბულგარელი ალექსანდრინა ნაიდენოვა სამოელ კარუტერსთან და მექსიკელ ლეონთან 3:6, 6:2, 8:10 დამარცხდნენ.

**ლაშა დიდია**

ფორმულა 1

# „რენოს" ძრავები „რედ ბულისთვის"... ბრენდირების გარეშე

**ფორმულა 1-ში „რედ ბულის" მომავალი შესაძლოა, მალე დადებითად გადაწყდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „რენო" თავისი ახლანდელი პარტნიორისთვის აგრეგატების მიწოდების გაგრძელებას გადაწყვეტს. ოღონდ, ფრანგული კომპანია ამას ბრენდირების გარეშე გააკეთებს. და რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ იქნება პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელებაზე.**



გავრცელებული ინფორმაციით, საკითხს ამგვარად „რენოს" მთავარი აღმასრულებელი კარლოს გოსნი განიხილავს. ის მზადაა, ავსტრიულ გუნდს ძრავები ბრენდირების გარეშე შესთავაზოს. და ამაზე წამსვლელი მხოლოდ იმიტომაა, რომ „რედ ბული" ფ1-დან არ წავიდეს. იმავე ინფორმაციის შესაბამისად, ამ შეთავაზებას „რედ ბული" ამ დღეებში მიიღებს.

„რენოსთან" მიმდინარე კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ, „რედ ბული" ჯერ „მერსედესს" დაუკავშირდა და მისგან რომ უარი მიიღო, „ფერარის" მიმართა. მაგრამ მარანელოელებმა ამ სეზონის აგრეგატი შესთავაზეს, რაზეც ხარებს დათანხმება არ შეეძლოთ. მესამე ვარიანტი „ჰონდა" იყო, რომელსაც პრინციპში, „რედ ბულთან" თანამშრომლობის დაწყების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. მაგრამ მათ შორის გარიგება „მაკლარენმა" დაბლოკა, რომელსაც ამის უფლებას, „ჰონდასთან" არსებული კონტრაქტი აძლევდა. იყო სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ბერნი ეკლსტოუნმა შეიმუშავა, მაგრამ არც ამ მხრივ გამოვიდა რამე.

ჯერჯერობით უცნობია, გოსნის ვარიანტი არაბრენდირებული აგრეგატების შესახებ რას ითვალისწინებს. მექსიკაში „რედ ბულის" შეფ კრისტიან ჰორნერს ჰკითხეს, „რენოს" ვერსია ერთადერთია, თუ არსებობს კიდევ ალტერნატიული გეგმა, რაზეც მან უპასუხა: „ბევრი ვარიანტი არ გვაქვს, მაგრამ შესაძლოა, რაღაც გამოჩნდეს". მისივე თქმით, „ჰონდა" მზად იყო „რედ ბულთან" თანამშრომლობისთვის, მაგრამ „მაკლარენის" შეფი რონ დენისი ამის წინააღმდეგ წავიდა. ჰორნერმა თქვა, რომ დენისს თავად ესაუბრა, რომელმაც მიანიშნა, რომ მისი პოზიცია ურყევია.

დრო კი გადის. იმ დროს, როცა მეტოქე გუნდებს უკვე დაწყებული აქვთ მომავალი სეზონისთვის მზადება, „რედ ბულს" ჯერ აგრეგატიც კი არ აქვს. ჰორნრი ამბობს, რომ მის გუნდს უახლოეს მომავალში სჭირდება იმის ცოდნა, თუ რა ძრავი იქნება მისთვის ხელმისაწვდომი. სხვა შემთხვევაში, პირველი ტესტებისთვის მომზადება ვერ მოესწრება.

**„ჯერჯერობით, ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ პირველი ტესტისთვის მომზადება მოვასწროთ. ჩვენს გუნდს მილტონ კეინსში აქვს იმის გამოცდილება, რომ ძალიან შემჭიდროებულ ვადებში მოემზადოს ახალი სეზონისთვის. და დარწმუნებული ვარ, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ. ოღონდ, ძრავი უახლოეს კვირეებში უნდა გვქონდეს",** — ამბობს ჰორნერი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი



# „ბაიერნი" არ უნდა გააბრაზო, „ზენიტს" კი ვეღარ აჩერებენ

**უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა რიგებს სანქტ-პეტერბურგის „ზენიტიც" შეუერთდა. რუსებმა ჯგუფში ყველა თამაში მოიგეს პლეი-ოფში თამაში, ფაქტობრივად, უკვე პირველი ადგილით გაინაღდეს. ამავე მიზანთან ძალზე ახლოს არიან „ბარსელონა", „ბაიერნი", „ოლიმპიაკოსი" და „პორტუ".**



**E ჯგუფი**
„ბარსელონა" — „ბატე" 3:0 (1:0),
„რომა" — „ლევერკუზენი" 3:2 (2:0).

F ჯგუფი
„ბაიერნი" — „არსენალი" 5:1 (3:0),
„ოლიმპიაკოსი" — „დინამო" (ზაგრები) 2:1 (0:1).

G ჯგუფი
„ჩელსი" — „დინამო" (კიევი) 2:1 (1:0),
„მაკაბი" — „პორტუ" 1:3 (0:1).

H ჯგუფი
„ლიონი" — „ზენიტი" 0:2 (0:1),
„გენტი" — „ვალენსია" 1:0 (0:0).

**გივი გიგუა**

# ბენზემა ვალბუენას შანტაჟისთვის დააკავეს



**საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა დაკავებულია პარიზის პოლიციის მიერ. მიზეზი „ლიონის" ნახევარმცველ მატიე ვალბუენასთვის მოწყობილი შანტაჟის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაა.**

ვალბუენას ინკოგნიტო პირები უკავშირდებოდნენ და ემუქრებოდნენ, რომ მისი მონაწილეობით ინტიმური ხასიათის ვიდეოებს გაავრცელებდნენ. საუბარი იყო 150 000 ევროზე, რომლის მიღების შემთხვევაში, შანტაჟისტები ვალბუენას შეეშვებოდნენ.

ვარაუდობდნენ, რომ შანტაჟისტებს შორის იყო საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ჯიბრილ სისეც, თუმცა პოლიციამ მის წინააღმდეგ ჯერ სამხილები ვერ მოიპოვა. სისეს გარდა, კიდევ ორი ადამიანია ეჭვმიტანილი.

რაც შეეხება ბენზემას, ის კვლავაც პოლიციაშია და ამ საქმესთან კავშირი თუ დაუმტკიცდა, 5-წლიანი პატიმრობაც დაემუქრება.

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# რაფაელა ბალოტელის ისევ შემოსწყრა

**მარიო ბალოტელის ყოფილი გულისსწორი, ცნობილი მოდელი რაფაელა ფიკო ამ ბოლო დროს მარიოსთან თანაცხოვრების პერიოდს სულ თბილად იხსენიებდა და იძახდა, რომ მარიოსგან ბევრი კარგი ახსოვს. ამან ბულვარულ მედიას გაუჩინა საფუძვლიანი ეჭვები, რომ შესაძლებელი იყო რაფაელას მარიოსთან დაბრუნება სურდა.**

თუმცა, როგორც ჩანს, რაფაელას მოთმინებასაც აქვს საზღვარი და რაკი მარიოსგან საპასუხო თბილი იმპულსები არ წამოვიდა, ეს თეთრყირმიზა ქალი ადგა და გადარეულ შავტუხა მარიოზე ისეთები ილაპარაკა, ყურში რომ არ შეიშვება და ენაზე რომ არ გადაგორდება.

როგორც რაფაელა იძახის, მარიოსთანა მამაკაცები ბუნებით არიან მოღალატეები და მხოლოდ იმ ქალებთან არიან შედარებით დიდ ხანს, რომლებისგანაც რაიმე გამორჩენას ელიან. ფიკოს აზრით, მარიოს „ყვითელი" პოპულარობა სწორედ მისი დამსახურებაა და ბალოტელის მიზანიც ეს იყო.

**როსტომ რაჭველიშვილი**



ტრანსპორტი

# მტკვრით თუ დავიწყეთ თბილისის გავლა...

**სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლების სამამულო ექსპორტის, უფრო სწორად, რეექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დარგი მსუბუქი ავტომანქანების მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე, ნაწილობრივ, ცენტრალური აზიის ქვეყნებში გატანა იყო. ბოლო დროს ექსპორტის ამ სეგმენტმა პოზიციები მნიშვნელოვნად დათმო, რის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აზერბაიჯანში „ევრო-4" სტანდარტის შემოღება გახდა, რამაც მოძველებული მანქანების ქვეყანაში შეტანას გზა გადაუკეტა. ამ შემთხვევაში ასეთი ნაბიჯის გადადგმა არა მარტო ეკოლოგიური ფაქტორით აიხსნება, არამედ გარკვეულწილად სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაც არის.**

თბილისი დიდი ხანია, უმძიმესი საავტომობილო პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დგას, რომლის გადაჭრა მეტად საშური საქმეა, ვიდრე ქალაქის ტრანსპორტი ერთიან უზარმაზარ საცობში არ მოექცულა.

დღესდღეობით, საქართველოში მთლიანად 1,1 მილიონი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული, მათ შორის 60 პროცენტზე მეტი მსუბუქი ავტომანქანაა, რომლის თითქმის ნახევარი, ამა თუ იმ ინტენსივობით, დედაქალაქში მოძრაობს. მარტო ბოლო რამდენიმე წელიწადში, ერთობ განუვითარებელი და მოუვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის პირობებში, ქვეყნის მთლიანი ავტოპარკი ნახევარი მილიონი მანქანით გაიზარდა და ეს ტენდენცია გრძელდება. ამდენად, ძნელი წარმოსადგენი არ არის ის საფრთხე, რომლის წინაშე უახლოეს 2-3 წელიწადში აღმოვჩნდებით.



რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად?

**აუცილებელია დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის შემოვლითი რკინიგზის დასრულება, გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე კი ქალაქის გამჭოლი ავტომაგისტრალის აშენება; „მტკივნეულ" სატრანსპორტო წერტილებში ავტოკვანძების გამხსნელი გადასასვლელების მოწყობა დაახლოებით ისეთების, როგორიცაა გმირთა მოედანზე; მიწისქვეშა და მიწისზედა მრავალსართულიანი ავტოსადგომების აშენება; დიდი სამოქალაქო ბინათმშენებლობაზე ნებართვები არ უნდა გაიცეს, თუკი ისინი მიწისქვეშა ავტოსადგომებით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი; განსავითარებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა.**

**კერძო ავტოპარკის მფლობელთათვის გარკვეულ დღეებში პერსონალური ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დასუფთავების სამსახურის, სპეცტექნიკისა და დისტრიბუციის მანქანების მუშაობის გრაფიკზე.**

არის კიდევ ბევრი სხვა, მეტად საინტერესო, ორიგინალური მოსაზრება, რომელთაგან განსაკუთრებით ერთი მინდა გამოვყო. ამ საკითხზე, თბილისში ავტოტრანსპორტთან დაკავშირებული მასალების მომზადებისას, ადრეც მქონია ლაპარაკი, ახლახან კი ამის თაობაზე გეოლოგ **პაატა თვალაძეს** ვესაუბრე:

— თბილისის სამანქანო საცობებისგან განსატვირთავად მსჯელობისას რატომღაც ყურადღებას არ ვაქცევთ დედაქალაქის ისეთ მნიშვნელოვან ბუნებრივ დერეფანს, როგორიცაა ქალაქის მთელ სიგრძეზე გამკვეთი მდინარე მტკვარი. არადა, თავისუფლად შეიძლება მისი სატრანსპორტო არტერიად გადაქცევა. მისი მეშვეობით ხალხი თავისუფლად შეძლებს ზაჰესიდან ორთაჭალის ჰესამდე გადაადგილებას. წლის განმავლობაში წყლის დონისდა მიხედვით, მდინარის ტრამვაის გამოყენებით, ქალაქს კიდევ ერთი „სატრანსპორტო სასუნთქი გზა" გაეხსნება. საამისოდ, მტკვრის ორივე სანაპიროზე პატარ-პატარა ნავმისადგომების მოწყობა იქნება საჭირო, საიდანაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრებს ქალაქის შიდა რაიონებში გადაიყვანს და ამით, გარკვეულწილად საავტობუსო ინფრასტრუქტურაც უფრო დაიტოტება. ამას მნიშვნელობა ექნება ტურისტული თვალსაზრისითაც — მდინარის ტრამვაი მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში მოქმედებს, სადაც კი ამის საშუალებაა, და დიდადაც პოპულარულია. თბილისში მდინარის ტრანსპორტის განსავითარებლად საჭირო იქნება მტკვრის კალაპოტის მხოლოდ ორ ადგილას — დიდუბე-საბურთალოსა და თამარის ხიდთან გაღრმავება, შესაძლოა, ასეთი სამუშაოების ჩატარება აუცილებელი გახდეს რამდენიმე მისადგომთანაც, მაგრამ ეს არ არის ქალაქისთვის დიდი ხარჯი, თანაც დარწმუნებული ვარ, გარკვეულ დროში ის ანაზღაურდება კიდეც. მოკლედ, მთავარია თბილისის მთავრობა ამ იდეით დაინტერესდეს, დანარჩენი უკვე სპეციალისტების საქმეა.

**აი, ასეთია, ზოგადად, თბილისური სატრანსპორტო „თავის ტკივილის" მიზეზები და მისი „მიყუჩების" ზოგიერთი გზა, რომლებსაც ჩვენს მაგივრად სხვა არავინ დაადგება.**

ოთარ ტურაბელიძე

გახსენება

# კაცი, სიკეთისთვის დაბადებული

## ცრემლით სავსე ორმოცი დღეა, რაც ძვირფასი გიორგი დუნდუას ნათელმა სულმა იმ სოფლად დაივანა

წუთიერი კი არა, მართლაც წამიერია ჩვენი სწრაფწარმავალი სიცოცხლე. ამიტომ იქნებ ბევრად უპრიანი იყოს, რომ ეს ჩვენი უბარაქო წუთისოფელი წამისოფლად შეგვეცვალა, ალბათ, ამიტომაც არის, რომ საზოგადოებრივად თუ სახელმწიფოებრივად მოფიქრალი ადამიანები თითქოს ჩქარობენ, რათა რაც შეიძლება მეტი სიკეთის ქმნა მოასწრონ ამქვეყნად და წარუშლელი კვალი დატოვონ მადლიერი ადამიანების მეხსიერებაში, რაც სიკვდილისშემდგომი სიცოცხლის ერთადერთი შესაძლებლობაა.

სწორედ ასეთ იშვიათ ადამიანთა არცთუ მაინცდამაინც ძალიან მრავალრიცხოვან გუნდს ეკუთვნოდა ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი მამულიშვილი **გიორგი დუნდუა**, რომელმაც მხოლოდ სამოცდაექვსი წელიწადი უცქირა მზეს და სწორედაც თითქოს უწინარესად მზისგან ისწავლა, რომ ოდენ სითბო და ამ სითბოთი გამთბარი კაცურკაცური სიყვარული მიეტანა მოყვასის გულამდე.

აი რატომ იყო გიორგის მოულოდნელი გარდაცვალება, დიახ გარდაცვალება და არა სიკვდილი, თავზარდამცემი ყველა აბაშელისთვის და მარნელისთვის, რომელთათვისაც მართლაც ტრაგედია იყო ამ ძვირფასი ადამიანის დაკარგვა და აკი დიდი გულისტკივილითაც წერდნენ, შენი საქმისადმი ერთგულებით, თაოსნობით და პროფესიონალიზმით, მშობლიურ კუთხეზე — მარანზე ფიქრით და მარნელებზე ზრუნვით, სწორედაც რომ გიორგი თორელს გამსგავსებდნენ და მადლიერი თანასოფლელები ხშირად ასე მოგმართავდნენო.

მადლიერი მარნელების გარდა, გიორგი დუნდუას ცალკე ნეკროლოგით გამოემშვიდობა აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოების სახელით გამგეობა და საკრებულოც.

გიორგი დუნდუამ რჩეულთა ცხოვრებით განვლო ცხოვრების გზაო, ნათქვამია აბაშელთა მიერ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ ეპიტაფიაში, ბოლომდე შეინარჩუნა მტკიცე და კეთილშობილური ხასიათი, იგი დააკლდა არა მარტო თავის ოჯახს, მოყვასთ, სამსახურს, რაიონს, შეიძლება ხმამაღლა თქმა, რომ იგი დააკლდა მთელ ქვეყანასო.



ეს არ არის მხოლოდ ის ლიტონი სიტყვები, რომელთაც მიცვალებულზე იმიტომ ამბობენ, რომ მასზე ან კარგი უნდა ითქვას, ან არაფერი. გიორგი დუნდუას შემთხვევაში, პირიქით უნდა ითქვას, ეს სიტყვები ნამდვილად მთელი სისრულით ვერ გამოხატავენ ამ დიდებული ადამიანის ჭეშმარიტად დიდ კაცურ ბუნებას და ასევე ჭეშმარიტად იმ დიდ დამსახურებას, რაც მას მიუძღვის თავისი მშობლიური მხარის და, აქედან გამომდინარე, სრულიად სამშობლოს წინაშე.

მადლიერი ადამიანები, დამწუხრებულ ოჯახის წევრებთან ერთად, დღეს ერთხელ კიდევ მივლენ იმ სოფლად უთუოდ ნათელში მყოფი გიორგი დუნდუას საფლავთან, რომელსაც ცოცხალი ყვავილები დაფარავს და დაეღვრება ისეთივე კამკამა, ალალი ცრემლი, რა სიკამკამითაც და სიალალითაც იცხოვრა ამ დიდი ადამიანური სიკეთისთვის დაბადებულმა და ყოველგვარი თვალსაზრისით ბოლომდე ვალმოხდილმა სულით ხორცამდე ქართველმა კაცმა.

**ოჯახი, სანათესაო და სამეგობრო**

* * *

**დარეჯან ელიაძე ოჯახით მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც გაიზიარა მათი დიდი მწუხარება გიორგი დუნდუას გარდაცვალების გამო.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
29 3-37-87

**ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამორჩეულად დადებითი პიროვნება**

**ვაჟა კუხალეიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, აგრეთვე ძმებს გერონტის და მარლენს.**

**სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, იურა ალანია, პეტრე ბერაია, ლია წურწუმია, ჯემალ კვირტია, თენგიზ უჩანეიშვილი, ბესლან ძორძია.**

კრიმინალი

## ერთ-ერთი ვერსიით, ბათუმში ნაპოვნი ცხედარი ძველ ლაბორატორიაში ინახებოდა

**როგორც ცნობილია, ჩვილის ცხედარი, რომელიც დიდი ზომის ქილაში იყო მოთავსებული, ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ყოფილი პროზექტურის შენობასთან იპოვეს. არსებული ინფორმაციით, წლების წინ პროზექტურაში ლაბორატორიაც ფუნქციონირებდა, სადაც მსგავსი ტიპის ნიმუშები ინახებოდა.**

**ერთ-ერთი ვერსიით, ბათუმის ყოფილ პროზექტურასთან ნაპოვნი ჩვილის ცხედარი, ადგილზე წლების წინ განთავსებულ ლაბორატორიაში ინახებოდა და სადემონსტრაციოდ გამოიყენებოდა.**

**ქილაში მოთავსებული ჩვილის ცხედარი ყოფილი პროზექტურის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ბავშვებმა აღმოაჩინეს.**

**„ქილაში ჩასმული ბავშვის ცხედარი ჩემმა 10 და 12 წლის შვილებმა აღმოაჩინეს. როგორც მათ მითხრეს, ქილა გატეხეს და ცხედარს ტელეფონით ფოტოები გადაუღეს. ჩემი ბავშვები აქვე ახლოს მდებარე სკოლაში სწავლობენ. სახლში რომ მოვიდნენ მითხრეს რაც ნახეს. თან, თქვეს, რომ ქილაში სითხეც ესხა. სურათები რომ ვნახე, მეგონა თოჯინა იყო, გადასამოწმებლად ადგილზე მივედი და მართლაც ბავშვის ცხედარი აღმოჩნდა. დავრეკე პოლიციაში და გავაგებინე ეს ამბავი", — განუცხადა ჟურნალისტებს ბავშვების მამამ რობერტ მერკვილაძემ.**

## აყვანილია ყაჩაღთა დაჯგუფება

**სამართალდამცველებმა ყაჩაღობის ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რევაზ ჩ, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ჩ, 1991 წელს დაბადებული ლევან ჯ, 1989 წელს დაბადებული ლაშა ჯ. და 1968 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი იმედა ტ. სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეში დააკავეს.**

**გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები მიმდინარე წლის 20 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში ყაჩაღურად თავს დაესხნენ გურამ შ-ს ოჯახს, საიდანაც 200 კგ თხილი, სხვადასხვა საოჯახო და პირადი ნივთები გაიტაცეს.**

**სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას, 2 ერთლულიანი გადაჭრილი თოფი ე.წ.აბრეზი 10 საბრძოლო ვაზნით, რევოლვერი 5 საბრძოლო ვაზნით, „გოლდ სტარ 2002"-ის მოდელის პისტოლეტი 1 საბრძოლო ვაზნით და 4 ნიღაბი ამოიღეს.**

ფოტოფაქტი




**მომავლის ავტომობილი ტოკიოს ავტოშოუზე! არ არის გამორიცხული, რომ იაპონელები გადაადგილდებიან ასეთი ავტომობილებით უკვე უახლოეს პერიოდში.**

სულიერება

# ღვთისმშობლის ხატი – „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“



**6 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ დღესასწაულს.**

**ცოტა ხნის წინათ თითქმის უცნობი სოფელი კლოჩკი, რომელიც სანკტ-პეტერბურგთან ახლოს მდებარეობს, ნევის ზედა წელში, მთელს ქვეყანაში გახდა ცნობილი.**

1888 წლის ზაფხულში პეტერბურგში საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა, მინის ქარხნის სამლოცველოს მეხი დაეცა, შიდა კედლების უმეტესი ნაწილი და ფანჯრები დაიწვა, მაგრამ ცეცხლი ღვთისმშობლის ხატს არ შეხებია. ელვამ მხოლოდ გაანათა ის ჩაბნელებული კუთხე, სადაც ჟამთა სვლისა და ჭვარტლისაგან ჩამუქებული ხატი იდგა და სრულიად განახლებული მიწაზე გადაეშვა იგი. მეხისტეხისგან გამოღვიძებულმა მონაზონმა, რომელიც სამლოცველოს დარაჯობდა, დაინახა, რომ განახლებული ხატი იატაკზე იდგა და თასმები, რომლითაც კედელზე იყო მიმაგრებული – დამწვარიყო. იქვე ეყარა ყულაბის ნამსხვრევები, ხოლო ფული – ნიკოლოз I ალექსანდრე II დროინდელი 12 მონეტა ხატის გარშემო იყო მიმობნეული. ერთი მათგანი დაიკარგა. ეს ამბავი მთელ ქალაქში გავრცელდა და სამლოცველოში უამრავი ადამიანი მოდიოდა. ხალხმა ჩათვალა, რომ ამ მოვლენით უფალმა სამლოცველოს სიღატაკეზე მიანიშნა. ამიტომ მის ადგილზე ტაძრის ასაშენებლად შესაწირი გაიღეს. სამლოცველო ძალიან ძველი იყო. ჯერ კიდევ ეკატერინე II მეფობისას აქ ხის სხვა შენობა იდგა... ააშენეს ახალი სამლოცველო...

მოხუცები ჰყვებიან, რომ ხატი ნევის ნაპირთან ტალღამ მოიტანა. ხატი სასწაულებს ახდენდა და ახდენს ახლაც... სასწაულებრივი მოვლენები მიწყნარდება თუ არა მაშინვე ღვთიური მოწყალების ახალი ნიშნები გამოჩნდება ხოლმე. მრავალი ადამიანი, რწმენით მისული, ყოველგვარი სენისგან იკურნება. განკურნების ყველა შემთხვევა ყოველმხრივ სანდო თვითმხილველთა მიერაა დამოწმებული.

**გიული ლიპარტია**

ჩვენი კარაბადინი

# ... და დაივიწყეთ სახსრების ტკივილი!

**საერთაშორისო სამედიცინო სტატისტიკის მონაცემებით, სახსრების სნეულებებს დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტი უჩივის! ოსტეოქონდროზი პირველ ადგილზეა ინვალიდობის, ასევე ნაწილობრივი ან მთლიანი შრომისუუნარობის დაკარგვის მიზეზთა შორის.**

დიდი ხანია, ცნობილია, რომ სახსრებთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობის მიზეზია სისხლნაკადის შესუსტება და, ამის შედეგად, სახსრების მიმდებარე ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. ეს კი, თავის მხრივ, იმის მიზეზი ხდება, რომ სახსრებში ნაპრალები ჩნდება, ხრტილები ცვდება, რის შედეგად ისინი ელასტიურობას კარგავენ. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს ავადმყოფობები, როგორც წესი, ორგანიზმის ამა თუ იმ უბანზე სისხლის მიმოქცევის დარღვევას უკავშირდება. კაპილარები მთელ ორგანიზმში მიმობნეულ პატარ-პატარა გულებს შეიძლება შევადაროთ, რომლებიც მის თითოეულ უჯრედს კვებავენ. ამიტომაცაა, რომ მკურნალობა კაპილარულ დონეზე უნდა ხდებოდეს!

ჯერ კიდევ ახლო წარსულში, საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებები განუკურნებლად იყო მიჩნეული. და, მართლაც, მათი განკურნვა ბევრი პრეპარატით შეუძლებელი იყო, რადგან მათგან მრავალი ტკივილს მხოლოდ გარკვეული დროით ხსნის, თუმცა ტკივილის მიზეზს არ სპობს. ყველაფერთან ერთად, ზოგიერთ პრეპარატს სერიოზული თანმდევი ეფექტი ახლავს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის სისტემასა და სხვა ორგანოებზე. მაგრამ, მეცნიერება და მედიცინა ერთ ადგილზე არ დგანან, ამდენად ამჟამად მსგავსი დაავადებების მკურნალობა სავსებით შესაძლებელია. ამის საშუალებას სისხლის წვრილ ძარღვებზე საგანგებო სამედიცინო ხელსაწყოების



მიერ წარმოშობილი მაგნიტური ზემოქმედება იძლევა.

მაგნიტოთერაპიული სამედიცინო ტექნიკის შესანიშნავი ნიმუშია რუსეთული აპარატი ალმაგ-01. მისი მაგნიტური ველი ხელს უწყობს კაპილარების მოდუნებას, სისხლნაკადის გაძლიერებასა და მიმოცვლითი პროცესების დაჩქარებას – დაზიანებულ ქსოვილთა კვებას, ასევე ორგანიზმიდან ტოქსინებისა და მავნე ნივთიერებათა გამოყვანას. მის მიერ გამოცემული იმპულსები ავადმყოფის ორგანიზმში 68 სანტიმეტრზე აღწევს, რაც სნეულ სახსარსა და ხერხემალზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა. ეს კი იმის შესაძლებლობას ჰქმნის, რომ ტკივილი არათუ მოიხსნას, არამედ ავადმყოფი მისი გამომწვევი მიზეზისგან სრულად განიკურნოს.

**ალმაგის გამოყენებით შეიძლება:**

**ტკივილის, შეშუპებისა და ანთების მოხსნა;**

**დისკოებისა და სახსრების დეგრადაციის პროცესების შეჩერება;**

**სახსრებისა და ხერხემლის მოქნილობის აღდგენა;**

**წამლების დოზის შემცირება, ზოგჯერ კი მათ მოხმარებაზე საერთოდ უარის თქმა.**

**ხელსაწყო მარტივია მოხმარებაში და მისი გამოყენება ოჯახურ პირობებშიც სავსებითაა შესაძლებელი.**

**ალმაგ-01-ის შეძენა შეგიძლიათ აფთიაქებში, სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებსა და ქარხნიდან შეკვეთით.**

**კომპანია „ელამედის“ სადღეღამისო უფასო ტელეფონია:**

8-800-200-01-13.

რუსეთი,

www.elamed.com

## ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

ცინცხალი ანეკდოტები

**– ბაიბე, ჭიჭიკიას ისეთი საფრთხობელა დაუდგამს ყანაში, ყვავებს შარშანდელი მოსავალი დაუბრუნებიათ.**

* * *

**თბილისელებს კახეთში ადგილობრივებთან ჩხუბი მოუვიდათ. ერთმა მასპინძელმა ყბაში მოსდო სტუმარს.**

**– ვახ, ჩემი დედა! – ყვირის სტუმარი.**

**– რა დაარტყი, ბიჯო იგეთი, რომ უკულმა იგინება?**

* * *

**ღია ფანჯრიდან ყვირილი ისმის:**

**– მიშველეეეთ! კატა მოვიდაააა! მიშველეეეთ! შემჭამს!...**

**შეიყარა ხალხი ქვევით. რა ხდება, ვერ ხედავენ, ამხნევებენ (ბავშვი ჰგონიათ):**

**– ნუ გეშინია, რა იყო, კაცი არა ხარ? კატამ შეგაშინა?!**

**– კაცი არა ვარ, თუთიყუში ვარ. მიშველეეეეთ!**

* * *

**საღამოა. ქმარი ფანჯარაში იყურება ჩაფიქრებული და ცოლს ეკითხება:**

**– ძვირფასო, გინდა, ციდან ვარსკვლავი მოგიწყვიტო?**

**– არავითარი ვარსკვლავი, ამ საღამოს სახლში იჯდები!**



* * *

**– თქვენს მეუღლეს ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს. მისი ნერვიულობა არაფრით არ შეიძლება. მისთვის მუშაობაც კი არ შეიძლება. ეცადეთ, თქვენ იშოვოთ სამსახური, მას კი რაც შეიძლება წყნარი და კომფორტული გარემო შეუქმენით, გაუკეთეთ თავისი საყვარელი საჭმლები, არ ეკამათოთ არაფერზე. ასე ის კიდევ დიდხანს გაძლებს.**

**კაბინეტიდან გამოსული ცოლის სახეზე ქმარი ცდილობს, რაიმე წაიკითხოს. შეკითხვას ვერც ბედავს. ბრუნდებიან სახლში.**

**– ისაა... ექიმმა... რაო? – ეკითხება ბოლოს გზაში. რაღაც იმედი მაინც ღვივის ხმაში.**

**– შენ მოკვდები, – პირქუშად უპასუხებს ცოლი.**

* * *

**გურულები ჩინელებზე გაბრაზდნენ და ომი გამოუცხადეს.**

**– კი მაგრამ, ომს რომ გვიცხადებთ, იცით, რამდენი ვართ? - ჰკითხეს ჩინელებმა.**

**– რამდენი ხართ?**

**– მილიარდნახევარი!**

**– დიდუუ! რა დამარხავს ამდენ მკვტარს!**

* * *

**– მამი რას ჭამ? – ეკითხება შვილი მიხოს.**

**– არაფერს, გაიწი იქით, ვამთქნარებ.**

## ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე